

ნაენი +

ყთველთვიური ჟურნალი ზეზღუდული ზესაძლებლობის მქონე პირებისათვის
№ 5 (53) მაისი 2015წ.

ქართველი ფალავნის ტრიუმფი



გვიად გთგტკური – მსტფლიტ ჩემპიონი
მხედველთბაზეზღუდულ ძიუდოისტთა შტრის



ISSN1987-7161
977198771600

მთავარი რედაქტორი

თეიმურაზ მიქიაშვილი
593 33 5887
info.imediplus@gmail.com

რედაქტორის მოადგილე

მაია ასაკაშვილი
asakashvili_maia@yahoo.com

დიზაინერი

სოფო ტარყაშვილი
592 534466

გამომცემელი

კავშირი „იმედი პლიუსი“

საკონტაქტო ინფორმაცია

ზ.ფალიაშვილის № 47^ა
მე-2 სადარბ. ბ 12
+995 2 25 28 81
+995 2 25 28 83
pr_imediplus@yahoo.com
info.imediplus@gmail.com
ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილის“ სტამბაში.
თბილისი.0163. ჩუბინიშვილის ქ. N50

2015 წლიდან შპმ ბავშვებს გაზრდილი პენსია და
სპეციალური სერვისები ექნებათ 2

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად..... 2

აშშ-ს ელჩი მცხეთაში დღის ცენტრ „მომავლის რწმენას“
ესტუმრა 3

მიედვნა მონყალების დების მომზადების პრობლემებს 3

საინფორმაციო შეხვედრა-სემინარი სოფლების
ჯალაღურთის, გორისის და სარეკის საჯარო სკოლებში 4

ტრენინგი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ... 4

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები თბილისის
გამწვანების აქციაში - „მე ვამწვანებ ქალაქს“ - ჩაერთვნენ 4

შეხვედრა თანაბარი უფლებების დამკვიდრებისათვის 5

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის 5

ცვლილებები იუსტიციის სახლში შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე პირებისთვის 5

გვსურს გავიგოთ, როგორ ემზადება
საქართველოს სპეციალური ოლიმპიური ნაკრები 6

შემოქმედება 7

სამთავრობო საბჭო 8

ებრაელი ინვესტორები და შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე პირთა გარემო 9

ცეკვა ეტლით..... 10

ტერმინები - ჭკუასუსტობა“ და „სულით ავადმყოფობა“
კანონით უქმდება 12

გავაცნობიეროთ, სხვა გზა არ გვაქვს!..... 13

ახალი საბჭო შპმ პირთა უფლებებისთვის 15

„გზა იმედისკენ“ 16

დიდი მადლობა ჩინურ კოპანია „ფოხოუს“ 16

შპმ ბავშვების მშობლების საყურადღებოდ! 17

„გემუდარებით, დაგვეხმარეთ თუნდაც
ინფორმაციის გავრცელებაში“ 18

კარლ კიონიგი, ექიმი-ფსიქიატრი სენსორული დარღვევები 19

რა არის დეინსტიტუციონალიზაცია?
რა არის ინსტიტუციები? 21

შეიქმენით პოზიტიური განწყობა, იფიქრეთ პოზიტიურად
და თქვენ ადვილად დაძლეეთ დეპრესიას!..... 23

ცერებრული დამბლა - მასალები მშობლებისათვის
როგორ დავეხმაროთ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვს? 29

ვარჯიშები ხერხემლის ბლოკირებული სეგმენტების
მოძრაობის უნარის გაზრდისათვის 31



**ჟურნალი გამოდის „მაკლენის
ასოციაცია ბავშვებისათვის“ მხარდაჭერით.**

გარეკანის მე-2, მე-3 და მე-4 გვერდზე - გიორგი ვოლსკის მხატვრული ნამუშევრები.

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი, ჟურნალისტის მიერ ჩანერილი აუდიო-მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზია არ მიიღება.

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოების გადაბეჭდვა, რედაქციასთან შეთანხმების გარეშე, აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

ჟურნალი გამოდის 2008 წლის ოქტომბრიდან
ჟურნალს თან ახლავს 4-4 გვერდიანი ინგლისურ და რუსულენოვანი ჩანართები

2015 წლიდან შშმ ბავშვებს გაზრდილი პენსია და სპეციალური სერვისები ექნებათ

დათო ფარულავა



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის თქმით, შშმ ბავშვები 2015 წლიდან გაზრდილ პენსიას მიიღებენ და სპეციალური სერვისებით ისარგებლებენ.

„2015 წლიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების პენსია საარსებო მინიმუმს გაუტოლდება და შეიქმნება სპეციალური სერვისები. სექტემბრიდან პენსია 9929 ბავშვს გაეზრდება. 2015 წლის ზაფხულიდან აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის სპეციალური პროგრამა დაიწყება, ამოქმედდება შინ მოვლის პროგრამა, რომელიც განკუთვნილია 7-დან 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვებისათვის. იანვრიდან სპეციალისტები დონორთა დახმარებით მომზადდებიან, პროგრამა კი სექტემბრიდან დაიწყება,“ - თქვა პრემიერმა.

პრემიერმა დევენილებზეც ისაუბრა და თქვა, რომ მთავრობის ერთ-ერთი დაპირება დევენილთა საკუთარი ჭერით უზრუნველყოფა იყო.

„საცხოვრებლით 10 500 დევენილია უზრუნველყოფილი. 4 000-მდე ოჯახს საცხოვრებელი ფართი 1 ლარად დაუკანონდა. ამ პროექტს 2016 წლისთვის დავასრულებთ,“ - თქვა ირაკლი ლარიბაშვილმა.

<http://www.liberali.ge/ge/liberali/news/122531/>

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად



თქვენი აზრით, რა შეიძლება გააკეთონ ამერიკელებმა და ქართველებმა საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად?

28 აპრილს ელჩი ნორლანდი ფილმის „No One Left Left Behind“ ჩვენებს დაესწრო. ეს ფილმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად მსოფლიოში არსებულ და მიმდინარე ძალისხმევებზეა. სულ მალე ფილმის პრემიერა აშშ-ში, ამერიკის საზოგადოებრივი მაუწყებლის ქრონიკების „The Visionaries“ ფარგლებშიც გაიმართება. ისეთ ორგანიზაციათა მხარდაჭერით, როგორებიცაა Disability Rights International და პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის-PHR, აშშ-ის საელჩო სიამაყით ეხმარება ცნობიერების ამაღლებას და ყურადღების გამახვილებას იმ ადამიანებზე, რომლებსაც სხვადასხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ.

აუზ-ს ელჩი მსხეთაუი ელის სანტი „მომაველის ჩხეანას,, ასტუჟიან

01 მაისი 2015 18:24
ACCENT



მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივითა და ქალაქ მცხეთის მერიის ა(ა)იპ „ინვესტიციებისა და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების „ორგანიზებით, დღის ცენტრის - „მომაველის რწმენა 2009,, აღსაზრდელებს სასკოლო და ჰიგიენური ნივთების ნაკრებები, საკვები და ტკბილეული გადაეცათ.

დღის ცენტრის ბენეფიციარებმა სტუმრებისთვის მცირე წარმოდგენა გამართეს.

ლონისძიებას ორგანიზატორებთან ერთად, საჩუქრების გადაცემის საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, მეუღლესთან, საელჩოს სტუმრებთან ერთად და დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების თანხლებით. ლონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გაიოზ თალაკვაძე და სამინისტროს წარმომადგენლები; ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი-ავთანდილ ნემსინვერიძე, ვიცე-მერი ილია რუხაძე, ქალაქ მცხეთის საკრებულოს თავმჯდომარე - ილია ჯიშკარიანი; „უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის ფონდი საქართველოში (LDS – Charities)“, ამერიკული ჰუმანიტარული ორგანიზაციის ხელმძღვანელები საქართველოში: ედმონდ და პამელა დოშები.

<http://acn.ge/index.php?option=com-content>

მიეძღვნა მოწყალების დების მომზადების პრობლემებს



თქმა უნდა გამოყენებული იქნება ამ კუთხით დაგროვილი მეფის უნივერსიტეტის დიდი გამოცდილება.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის უნივერსიტეტი-მოწყალების დების მომზადების პირველი და ერთადერთი კერაა საქართველოში. 12 წლის წინ ეს ყველაფერი პატრიარქის კურთხევით და მამა ადამის ხელმძღვანელობით დაიწყო. სწორედ კლინიკის გარე სივრცეში ავადმყოფის მოვლის პრობლემებს და ამ საქმეში მოწყალების დების როლსა და მნიშვნელობას ეხებოდა საპატრიარქოს და კარიტასის მიერ ორგანიზებული ეს მრგვალი მაგიდა, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში ჩატარდა. ამ შეხვედრაზე ბევრი საინტერესო ინიციატივა გაჟღერდა, რომლის განხორციელებაშიც ჩართული იქნება სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურები და რა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ

საინფორმაციო შეხვედრა-სემინარი სოფლების ჯალაურთის, გორისის და სარეკის საჯარო სკოლებში



„საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა„ რეგისტრირებულმა კავშირმა საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების ჯალაურთის, გორისის და სარეკის საჯარო სკოლების საშუალო საფეხურის (მე-10, მე-11, მე-12) კლასების მოსწავლეებისთვის ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა-სემინარი, რომლის მიზანიც შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე უფროსკლასელთა ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობაა. აღნიშნული შეხვედრების დროს ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე ინფორმირების გაზრდის ხელშეწყობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული სწორი, კორექტული ტერმინების გამოყენების პროპაგანდა;

აღნიშნული საინფორმაციო შეხვედრა-სემინარების ჩატარება დაგეგმილია საჩხერის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის კლასების მოსწავლეებთან. ფინანსური მხარდაჭერა საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

სტანინგონი, მახდყდყდი მასაქდებდობის მქონე პირებისთვის



აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტთან არსებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა კლუბი„-ს პროექტის ფარგლებში, ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ჩატარდა ორ დღიანი ტრენინგი, რომელიც ჩაატარა ფსიქოლოგმა მარიამ ნათაძემ. ტრენინგის მიზანი იყო შშმ პირთა გააქტიურება და სამომავლოდ ამავე კლუბის, სხვადასხვა აქტივობებში, ასევე აქტივობების დაგეგმვაში მათი აქტიური ჩართვა..

კლუბს ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მაგურები თბილისის გამწვანების აქციაში - „ბი ჯამწვანებ ძალაძს“ - ჩაებთნენ



„აისის„, „ანიკას„, „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოების„, „პირველი ნაბიჯისა„ და „მშობლების თანადგომის„ აღსაზრდელებმა დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, თბილისის მოსახლეობას თუნდაც ერთი ხის დარგვისკენ მოუწოდეს და სურვილი გამოთქვეს, რომ მსგავს აქციაში მათი მონაწილეობა მაგალითი გახდეს შშმ პირებისთვის და საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობების არარსებობაში დარწმუნდეს.

ნინო ჭინჭარაული

შეხვედრა თანაბარი უფლებების დამკვიდრებისათვის



ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლაში, ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ – ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის „შშმ პირთა კლუბის“ ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარა. სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა და ორგანიზაციის წარმომადგენლებმა შშმ პირებთან დაკავშირებულ ტერმინებსა და საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებზე ისაუბრეს. ასევე, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის



მქონე პირთა მდგომარეობა, მათ წინაშე არსებული პრობლემები და ქვეყნის მიერ გადადგმული ნაბიჯები განიხილეს. შეხვედრის ბოლოს მოსწავლეებმა სიტუაციური ამოცანები გააკეთეს, რომლის მიზანი მიღებული ინფორმაციის პრაქტიკაში გადმოტანა და ამ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობის უნარის გაუმჯობესება იყო.

საინფორმაციო შეხვედრას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მსგავსი შეხვედრების ჩატარება აჭარის მალაღმთიან მუნიციპალიტეტებში იგეგმება..

პროექტის ფინანსური მხარდამჭერი იყო აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი..

<https://www.facebook.com/home.php>

ვარბნიორობა ადამიანის უფლებებისთვის

07.05.2015

2015 წლის 7 მაისს გაიმართა შეხვედრა დედაქალაქის მერიის წარმომადგენლებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებს შორის ზღვის და მთის საკურორტო საგზურებთან დაკავშირებით. როგორც შეხვედრის დროს გაირკვა, წელს მთის კურორტზე საგზურები გაიკეთა დაბა ბაკურიანში სასტუმრო „ვერე პალასში“. რაც შეეხება ურეკს, იქედან გამომდინარე, რომ „სანატორიუმი“ მეგობრობა ვერ აკმაყოფილებს ტენდერით გათვალისწინებულ სტანდარტებს, მოხდება ახალი ტენდერის გამოცხადება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ სასტუმროები, რომლებიც დააკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნას. სავარაუდოდ ეს სასტუმროები იქნება ზღვის სანაპიროს მეორე ზოლში, სადაც ბენეფიციარებს მოემსახურებათ ადაპტირებული ტრანსპორტი.

<https://www.facebook.com/groups/138462046214708/>

ცვლილება იუსტიციის სახლში შუამდგომლობის მოქმედი ვიზიტების

05-05-2015

ყრუ და სმენადაქვეითებული პირები დღეიდან დისტანციური მომსახურებით ისარგებლებენ და სახლიდან გაუსვლელად შეძლებენ 31 სახელმწიფო სერვისის მიღებას.

მათ ექნებათ შესაძლებლობა კონსულტაცია სკაიპის საშუალებით კვალიფიციურ სპეციალისტებთან ფესტურ ენაზე გაიარონ.

შემუშავებული პროექტის მიზანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა.

<http://rustavi2.com/ka/news/15517>

რედაქციის გვერდი

გზის გავიგოთ, როგორ ემზადება საქართველოს სასპორტო ოლიმპიური ნაკრები



**Special Olympics
WORLD
GAMES
LOS ANGELES 2015**

უკვე კარზე მოგვადგა საინვალიდო სპორტის მსოფლიოში წლის ყველაზე დიდი სპორტული მოვლენა ლოს ანჯელესის ზაფხულის საერთაშორისო სპეციალური ოლიმპიური თამაშები, ოლიმპიადა ტარდება სპორტის 25 სახეობაში. რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს 177 ქვეყნის 7000 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სპორტსმენი, ინყება ამა წლის 25 ივლისს და მთავრდება 2 აგვისტოს. საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე

ნარე „იმედი“- ს რედაქცია მარტის შუა რიცხვებში დაუკავშირდა საქართველოს სპეციალური ოლიმპიადის ხელმძღვანელობას. მისმა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ლაშა გოციერელმა სატელეფონო საუბრისას განაცხადა რომ იგი შეათანხმებდა ქალბატონ ჟანა გოციერელთან, რომელიც საქართველოს სპეციალური ოლიმპიადის ეროვნული დირექტორი გახლავთ და ინტერვიუს დასაგეგმად დაგვირეკავდა. მათ ზარს დღემდე უიმედოდ ველოდებით. ისინი ჩვენ ზარებს 2 თვეა აღარ პასუხობენ. არადა, საზოგადოებას ბევრი კითხვა აქვს სპეციალური ოლიმპიური თამაშების შესახებ: მაგალითად, როგორ ემზადება საქართველოს ნაკრები გუნდი, რა კრიტერიუმებით დაკომპლექტდა ნაკრები, ვინ არიან ის სპეციალური ათლეტები, რომლებიც ამ გრანდიოზულ შეჯიბრში მიიღებენ მონაწილეობას, ვინ წვრთნის ამ გუნდს და ა.შ. მაგრამ ეს კითხვები ჯერჯერობით პასუხგაუცემელია. ჩვენ რაც მოვახერხეთ ისაა, რომ შევედით საერთაშორისო სპეციალური ოლიმპიური თამაშების საიტზე და აღმოვაჩინეთ, რომ თურმე საქართველოს ნაკრები სამ სპორტულ სახეობაში მონაწილეობს; მძლეოსნობაში, ჩოგბურთში და მინიფეხბურთში (გოგონათა ნაკრები). ამის შესახებ კი საქართველოში არავინ არაფერი იცის. არა და ჟურნალი ცდილობს ფართო საზოგადოებას გააცნოს მზადების პროცესი, წარუდგინოს სპეციალური ათლეტები, რომლებიც ალბათ სულმოუთქმელად ელოდებიან ამ ასპარეზობაში მონაწილეობას, გააცნოს მწვრთნელები, რომლებიც ალბათ ყველაფერს აკეთებენ, რომ მაღალი სპორტული შედეგები აჩვენონ ჩვენმა სპეციალურმა ათლეტებმა. მაგმ, მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა, ეს ვერ შევძელით. ახლა ჟურნალის საშუალებით მივმართავთ ქალბატონ ჟანა გოციერელს და საქართველოს სპეციალური ოლიმპიადის მზადების შტაბს (თუ კი ასეთი არსებობს) გამოგვეხმაურონ, შეგვხვდნენ და ფართო საზოგადოებას მოვუთხროთ, თუ როგორ ემზადება ამ უდიდესი თამაშებისათვის საქართველოს დელეგაცია. რა უჭირთ და რა ულხინთ. ვეცდებით ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ საქართველოს ნაკრების მზადებაში.

ახლა კი გაგაცნობთ იმ სპეციალური ათლეტების სიას, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ აღნიშნულ თამაშებში.

მძლეოსნობა

1. გვანცა გეგენავა
2. სერგო გვაადე
3. იური კომახიძე
4. მარიამ ქურდოვანიძე

ჩოგბურთი

5. გიორგი დიღია
6. მარიამ ნიკლაური

ფეხბურთი (გოგონები)

7. თეონა გონგაძე
8. სოფიკო იაშვილი
9. ირინა იუსუბოვა
10. თამარ ჯინჭარაძე
11. ნინო კოჭლამაზაშვილი
12. ლია კვარაცხელია
13. ნორა მელიტონიანი
14. თამარ ნადირაშვილი
15. ნათია სხირტლაძე
16. თამარ თათუაშვილი
17. ნინო კუხაშვილი

აქვე ვაქვეყნებთ ლოს ანჯელესის ზაფხულის საერთაშორისო სპეციალური ოლიმპიური თამაშების საიტს

<http://www.la2015.org/delegations/georgia-republ>

შემოქმედება



გიორგი ორლოვსკი დაიბადა 1998წ 21 მაისს თბილისში, სწავლობს მე-60 საჯარო სკოლაში.

რამდენიმე წელია ხატავს, მოთხრობა „მიტოვებული ბიჭუნა“ ერთ-ერთ ნახატს „ნატივრის ხეს“ მიუძღვნა.

ამჟამად, სწავლობს მე-60 საჯარო სკოლის მე-10 კლასში. პარალელურად „ჯიპაში“, პროექტის ფარგლებში, ეუფლება სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამებს, რაც შემდგომ დასაქმებაში დაეხმარება.

ეს მოთხრობა გიორგის დებიუტია.

ჟურნალის „იმედი“-ის რედაქცია გიორგის ულოცავს დაბადების დღესა და შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლას!

მიტოვებული ბიჭუნა

გიორგი ორლოვსკი

ერთ ოჯახს ბიჭუნა შეეძინა სახელად საბა. იგი შეზღუდული შესაძლებლობით დაიბადა, რისი შეგუებაც ოჯახს ძალიან უჭირდა. საბა ეტლით მოსარგებლე იყო, გადიოდა დრო, ოჯახი ამ აბავს მაინც ვერ ეგუებოდა. საბა იზრდებოდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ მას ძმა გაუჩნდა. მშობლებმა საბა დაივიწყეს და მთელი ყურადღება მის ძმაზე გადაიტანეს. მათ მეზობლად ცხოვრობდა გოგონა სახელად ანა, ისიც ეტლით მოსარგებლე იყო. ანანოს ოჯახი საბასგან განსხვავებით, მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდა.

ერთ დღესაც საბამ გარეთ გასვლა გადაწყვიტა. პირველივე მცდელობაზე საზოგადოების მხრიდან უარყოფითი რეაქცია მიიღო. ბიჭუნას საზოგადოება ცუდად შეხვდა, გაკვირვებულები უყურებდნენ, უხერხულ კთხვებს უსვამდნენ. საზოგადოების მკაცრი დამოკიდებულების შედეგად საბა დანალვლიანებული გაეშურა სახლისკენ. გზად ვარდისფერ ეტლში მჯდომარე გოგონა დაინახა. მათ გაიცნეს ერთმანეთი და დამეგობრდნენ. საბამ და ანანომ გადაწყვიტეს, დაეთქვათ ხოლმე შეხვედრის დრო და ერთად ესეირნათ. ასე დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

სახლში მისულ საბას თავისი განებივრებული ძმა დახვდა, რომელმაც თავისი გამომწვევი ქცევებით კვლავ ძალიან გააღიზიანა. სადილობის დროს მის საჭმელს წყალი დაასხა და დაცინვა დაუწყო. ატირებული საბა თავის ოთახში შევარდა დასამშვიდებლად, ისევ თავის საყვარელ ფანჯარას მიაშურა, საიდანაც უკეთ ჩანდა ახლადგაცნობილი გოგონას ფანჯრები, რომელიც დიდ სულიერ სიმშვიდეს ჰგვრიდა.

მეორე დღეს საბა და ანანო ერთმანეთს დათქმულ დროს შეხვდნენ, ხელი-ხელ ჩაკიდებულებმა გაისეირნეს თავიანთი ეტლებით. ხალხი გაკვირვებული თვალებით უყურებდა მათ.

საბას და მეგობარ ანანოს გული ეტკინათ მათდამი საზოგადოების ამგვარ დამოკიდებულებაზე, სიტუაცია უფრო გაამძაფრა მათი მიმართულებით უტაქტო შეძახილებმა: გაინიეთ, არ გადამედოს, შეუნარშეზღუდულო და სხვა....

საბა და ანანო გულგატეხილები, დამცირებულები სახლისკენ გაეშურნენ და გადაწყვიტეს, ერთმანეთს მხოლოდ ღამით შეხვედროდნენ, რათა საზოგადოების რისხვა თავიდან აეცილებინათ. კვლავ დათქვეს დრო და ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

ასე გავიდა წლები. საბას და ანანოს ერთმანეთი შეუყვარდათ და დაქორწინება გადაწყვეტეს. დრო მოვიდა, რომ საბას თავისი ოჯახისთვის შეეტყობინებინა სიყვარულისა და დაქორწინების სურვილი. საბას ოჯახმა ეს ვერ გაიგო, ვერც წარმოედგინათ საბას დაოჯახება, ამას არ დასჯერდნენ, გარეთ გასვლა აუკრძალეს და ოთახში ჩაკეტეს.

საბა იჯდა ფანჯარასთან, გასცქეროდა გზას და ოცნებობდა, რადგან ანანოსთან შეხვედრას ვეღარ ახერხებდა. ერთ დღესაც საბას ოჯახი სტუმრად წავიდა, საბა წვალებით გამოვიდა გარეთ. მიუხედავად იმისა, რომ ღამე იყო, მაინც მივიდა საყვარელ ადგილას, სადაც ანანოს ხვდებოდა ხოლმე. იმ ადგილზე აღარ დახვდა გოგონა. დაღონებული საბა ისევ სახლისკენ გაეშურა, გზად დიდი ხე დაინახა. უცებ რალაც ხმა შემოესმა ექოსავით, ხე თითქოს უხმობდა. იგი მიუახლოვდა.

ისევ გაისმა ძახილი. ოცნებებში გართულს თითქოს შემოესმა, ერთი სურვილი მთხოვე და აგისდება. ბიჭუნას არ სჯეროდა, მაგრამ მაინც ჩაიფიქრა, ხემ უპასუხა, შენი სურვილი ახდება ხვალ ზუსტად 12 საათზე.

ბიჭუნა დაიმედებული სახლისკენ გაეშურა. მეორე დღეს თავისი ფანჯრიდან დაინახა, მისი მეგობარი გოგონა ეტილიდან წამომდგარა და საბას ფანჯარასთან იდგა. საბა, საბა! ოცნება ამიხდა, საბამ და გოგონამ მთელი დღე ერთად გაატარეს. მოსალამოვდა, დამშვიდობების დრო მოვიდა. ანა საბას სახლში ასვლაში დაეხმარა, დაემშვიდობნენ ერთმანეთს. რამოდენიმე დღე ასე გაგრძელდა, მაგრამ ერთ დღეს ანამ საბას გაუმხილა, რომ ველარ შეხვდებოდა, მიზეზი არ აუხსნია, საბას გული ძალიან ეტკინა და უთხრა – მშვიდობით!.....

იმ დღის შემდეგ საბას ანა აღარ უნახავს...

P.S. გიორგი ვოლსკის მხატვრული ნამუშევრები იხილეთ ჟურნალის ყდის მე-2, მე-3 და მე-4 გვერდებზე.

სამთავრობო საბჭო

გიორგი ჯანელიძე



2013 წლის 13 ივნისს, 146-ე სამთავრობო დადგენილებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამთავრობო საბჭოს არასამთავრობო სექტორის შემადგენლობა განისაზღვრა. ქალბატონი ბელა სონღულაშვილი ამ საბჭოს წევრი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, მათი მეურვეებისა და მოზრდილების ლობისტი იყო. იგი ასევე, არის სოციალური დაცვის ლიგის გამგეობის თავმჯდომარე. ქალბატონი ბელა 2009 წლიდან მუშაობს შშმ ბავშვების საკითხებზე, ვინაიდან ის თავადაა შშმ ბავშვის მშობელი. მან აღნიშნული საბჭო პროტესტის ნიშნად დატოვა, რისი მიზეზიც მისივე თქმით, საბჭოში შშმ მიმართ დამოკიდებულების შეცვლისთვის საჭირო პოლიტიკური ნების არ არსებობაა: **არც შშმ ბავშვებს და არც მათ მშობლებს არანაირი ყუ-**

რადღება არ ექცევათ მთავრობის მხრიდან, გრძელდება ისევ ის განუკითხაობა, რაც იყო ენმ-ს მიერ დაკომპლექტებული მთავრობის პერიოდში. სამწუხაროდ, ეს კოჰაბიტაციური პროცესები ხელს უშლის ამ ყველაფერს. ვინაიდან ჩინოვნიკური აპარატი არის აბსოლუტურად შეუცვლელი ყველა სამინისტროში, ვინაიდან პოლიტიკური ნებაც არ არსებობს და არავის სცალია შშმ ბავშვებისთვის, იგივე სერვისები არის შემოთავაზებული და აბსოლუტურად იგივე პრიორიტეტებია, რაც აქამდე იყო. ჩვენ ვთვლით, რომ ახალი სოციალური პოლიტიკა არ არის შექმნილი და არც იქმნება სამწუხაროდ. როგორც ქალბატონი ბელა ამბობს, დიდი პრობლემებია შშმ ბავშვთა მშობლების დასაქმების კუთხით. ამ მხრივ არათუ პოლიტიკური ნება, არამედ საერთოდ პოლიტიკა არ არსებობსო, გვეუბნება ის სატელეფონი ინტერვიუში. ქალბატონი აღნიშნავს, რომ წინა მთავრობის დროს, დასაქმების ინსტიტუტები საკანონმდებლო ბაზით, ლიკვიდირებულ იქნა: ახლა არის მცდელობა მისი აღდგენისა, მაგრამ ეს არის ძალიან არარეალური იმდენად, რამდენადაც ფონდი ძირითადად არაპროფესიონალებით არის დაკომპლექტებული და იქაც არ არის რაიმე სერიოზულის გაკეთების პოლიტიკური ნება, თუნდაც შშმ ბავშვთა უმუშევარ მშობელთა დასაქმებისა და მატერიალური სიდუხჭირიდან გამოყვანის თვალსაზრისით. ქალბატონი ბელა თვლის, რომ გარდა იმისა, რომ არც საგადასახადოშია რაიმე სახის შეღავათი შშმ ბავშვებისთვის, მათ მშობლებისა და ოჯახებისთვის, სერიოზული პრობლემებია ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხებთან დაკავშირებითაც, ვინაიდან, ბავშვებს აქვთ სხვადასხვა მეთოდოლოგიის მიხედვით მინიჭებული შშმ სტატუსი და ამიტომ, აბსოლუტურად განსხვავებული სადაზღვევო პოლისები სჭირდებათ: ჯერ კიდევ 2013 წელს პირადად მე გავაკეთე შშმ 2014-2016 წწ. სამოქმედო გეგმის დამატებითი ნაწილი, რომელიც მხოლოდდამხოლოდ შშმ ბავშვთა საკითხებს შეეხებოდა, მას ჰქონდა შესრულების ინდიკატორები, რაც მთავარ სამოქმედო გეგმას საერთოდ არ გააჩნია. 2010 წელს გავაკეთეთ შშმ მშობელთა პეტიცია, რომელსაც სამწუხაროდ, არავინ მიაქცია ყურადღება. თუმცა 2013 წლის 26 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა განიხილა და შესასრულებლად გადასცა ჩვენ მთავრობას, მაგრამ ამ მხრივაც არანაირი ძვრა არ არის. საბჭოს ყოფილი წევრი აცხადებს, რომ ის თავის თანამოაზრეებთან ერთად შშმ ბავშვთა მშობელთა დასაქმების საკითხის მოგვარებას არაერთხელ შეეცადა. საამისოდ, პირველ რიგში, დაინყო მათი აღწერა,

მაგრამ სამწუხაროდ, დონორის პოვნა რთული აღმოჩნდა. შშმ სამთავრობო საბჭოს მიერ მიღებული თანაბარი შესაძლებლობების 2014-2016 წწ. სამოქმედო გეგმის პირველი პუნქტით, ერთ-ერთი პრიორიტეტი შშმ ბავშვთა დაცვის საინფორმაციო-საკონსულტაციო რეგიონალური ცენტრების შექმნა და შშმ ბავშვთა მშობელთა დასაქმება იყო, რომელიც 2014 წლის 20 იანვრის სამთავრობო დადგენილებით არის დადასტურებული. ქალბატონი ბელას აზრით, არანაირი ხელშეწყობა არ არის. **მშობლები ვცდილობთ, რომ რაიონებში შევქმნათ რეგიონალური განვითარების ცენტრები. რეგიონებში უკიდურესად მძიმე მდგომარეობა გვაქვს, იქ მენტალური პრობლემებიც მოსაგვარებელია. გარდა იმისა, რომ მათ ესაჭიროებათ სახელმწიფოსგან სოციალური დახმარება, აუცილებელია ფსიქოლოგი, ლოგოპედი, მასაჟისტი, ნევროპათოლოგი და ა.შ., რომ მათი ფეხზე დაყენებაც შეიძლებოდეს და სრულფასოვანი ცხოვრება ჰქონდეთ**, გვითხრა არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა. როგორც ჩანს, სერიოზული პრობლემებია ბავშვთა ეტლების მომარაგებისა და სარეაბილიტაციო საშუალებების კუთხით, არ არის ადაპტირებული სახელმძღვანელოები, განსაკუთრებით მენტალური დარღვევების მქონე ბავშვებისთვის. მათი მშობლები დამოუკიდებლად ცდილობენ, რომ ყველა პირობა შეუქმნან შვილებს, რათა მათ იოლად შეითვისონ პროგრამა. როგორც ისინი აღნიშნავენ, ინკლუზიური სწავლების სკოლებში რესურსოთახები მცირე რაოდენობითაა. ფსიქოლოგი, ლოგოპედი, ნევროპათოლოგიც ცოტაა, თანაც, არც ისე მაღალკვალიფიციური, ვინაიდან მუსიკის მასწავლებელი ან ინჟინერი 2-3 თვის განმავლობაში ვერ გადამზადდება სერიოზული მონაცემების მქონე ლოგოპედად ან ფსიქოლოგად. ჩვენ მოვითხოვეთ, რომ შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში ინსტიტუცია შექმნილიყო-შშმ დაცვის სახელმწიფო სამსახური, რომელიც ამ მიმართულებით ყველაფერს გაუნევედა კურირებას. საქართველოში 300 000-ზე მეტი შშმ ადამიანია და ვფიქრობთ, რომ ეს კონკრეტულ უმცირესობას წარმოადგენს. ამ უმცირესობას კი ნამდვილად სჭირდება საკუთარი უფლებების დაცვა.

ეპრაელი ინვესტორები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარემო

გიორგი ჯანელიძე



აპრილში თბილისის სპორტის სასახლემ ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატს პირველად უმასპინძლა. ცნობილ სპორტულ კომენტატორს, **ჯამლეთ ხუხაშვილს**, ჩვენი ქვეყნის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სპორტულ არენაზე სწორედ ჩემპიონატის მიმდინარეობისას შევხვდი. რედაქციას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ახლო მომავალში ისრაელიდან საქართველოში ჩამოსვლას ინვესტორთა ჯგუფი გეგმავს, რომელთა ერთ-ერთი მთავარი პროექტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გარემოს გაუმჯობესებას უკავშირდება. **ჯამლეთ ხუხაშვილი: წლების განმავლობაში ვარ მონქე იმისა, რომ ისრაელიდან ძალიან ხშირად ჩამოდიან ინვესტორები. ისინი არიან უნივერსალურად შეიძლება ითქვას, სხვადასხვა განხრის სპეციალისტები. აკეთებენ ძალიან ბევრ რამეს, ზოგს გამოსდის, ზოგს-არა. ზოგი დიდხანს ჩერდება, ზოგი-ცოტა ნაკლებ ხანს, მაგრამ რათქმა უნდა, ბიზნესში ეს ახალი არ არის. მეც მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ სურთ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დაეხმარონ. მათ სურთ სასწავლებლებივი კორპორაციის შექმნა. კონკრეტულად როგორ და რა-ეს მე არ ვიცი, თუმცა არ შეიძლება, რომ ჩემამდე არ მოვიდეს.** ათწლეულებია, რაც ბატონი ჯამლეთი ქართულ-ებრაული მეგობრობის, ისრაელსა და საქართველოს შორის დამყარებული ურთიერთობის ერთ-ერთი დიდი ქომაგია. ის არამარტო ქომაგია,

არამედ, მონაწილეობს ამ პროცესებში. ცდილობს ებრაელი, კონკრეტულად კი, ქართველი ებრაელი ინვესტორების მოზიდვას, ვინაიდან, როგორც საკალათბურთო კლუბ „მაკაბის“ პრეზიდენტი ამბობს, **ჩვენი მეგობრობა იყო, არის და დარჩება-26 საუკუნოვანი იუბილე ახლახანს ჩავატარეთ, იქ იყო ბიზნეს-ფორუმი, იყვნენ მრავლად ჩამოსულები და მე მიხარია, რომ ამ კუთხითაც იქნება დახმარება ინვესტიციის სახით. თუკი ჩემზე რამე იქნება დამოკიდებული, რა თქმა უნდა დიდი სიამოვნებით მივეხმარები და ჩემს ორ სიტყვასაც ვიტყვი, მითუმეტეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის ხალხთან მაქვს ძალიან დიდი სპორტული ურთიერთობა-კალათბურთელები, ფეხბურთელები, ოლიმპიადისტების ემზადებიან. მე რაც ვნახე, ინვალიდობის მქონე პირთა ჩემპიონატის ფინალი, რომელთაც კიდურები არ ჰქონდათ და რა ფეხბურთიც მათ მაჩვენეს, მე მგონი მსოფლიო ჩემ-**

პიონატზე არ მინახავს ასეთი დაძაბულობა. ასე, რომ მე ასეთი ხალხის გულშემატკივარი და მეგობარი ვარ.

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი და თბილისის საპატიო მოქალაქე თვლის, რომ იქ, სადაც არსებობს ყურადღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი, იქ განვითარდება ოლიმპიური სპორტის სახეობები, ასევე, ამ საზოგადოების წარმომადგენლები დიდ წარმატებას მიაღწევენ ხელოვნების სხვადასხვა დარგში. **მთავარია, რომ საზოგადოებამ ეს ხალხი მიიღოს ძალიან კარგად და მხარში ედგეს ყოველთვის. ადრე ცოტა სხვა, დისტანციური დამოკიდებულება იყო, მაგრამ ახლა გაერთიანდა ეს ყველაფერი და როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის ხალხი პაროლიმპიურ თამაშებში გამოდის, ზოგჯერ ისეთ შედეგს აჩვენებს, რაც სრულიად ჯანმრთელ ადამიანსაც კი გაუჭირდება.**

ახლა ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს ძალოსნობაში. როგორც თავიდანვე აღვნიშნე, იგი პირველად ტარდება საქართველოში. აღმოჩნდა, რომ თბილისის სპორტის სასახლე ამ მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებისთვის ძალიან კარგად მოემზადა. თბილისში იმყოფებიან ოლიმპიური ჩემპიონები, ფედერაციის პრეზიდენტი, გენერალური მდივანი, ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი: **ძალიან ნასიამოვნები დავრჩი, როდესაც გუშინ ვიჯექი ტრიბუნაზე, უცხოელმა სტუმრებმა აღნიშნეს, რომ ასეთგარემოში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაც შეიძლებაო. ასე, რომ მობილიზების შედეგად საქართველოს შეუძლია მრავალი მაღალი რანგის შეჯიბრების ჩატარება. ეს ენება არა მხოლოდ ძალოსნობის ჩემპიონატს, არამედ მრავალ სხვა სახეობას. მაგალითად, მსოფლიოს თასი ჩატარებულა სამბოში, კარატეში, ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში, ხელბურთში, ფეხბურთში სუპერთასი ჩატარდება და საქართველო, თბილისი და სპორტის სასახლე უმასპინძლებს შეზღუდული შესაძლებლობის პირებსაც. სადაც მათი მონაწილეობით არაერთი საკალათბურთო მატჩი ჩატარებულა, აღნიშნა შეხვედრის დასასრულს ბატონმა ჯამლეთმა, რომელიც ტურნირზე დასასწრებად მიიჩქაროდა. „ფეისბუქმა“ მოგვიანებით მამცნო, რომ ბატონი ჯამლეთი 14 აპრილს იუბილარი ყოფილა. რედაქციის სახელით ვულოცავთ ამ ღვაწლმოსილ ადამიანს დაბადების დღეს და წარმატებებს ვუსურვებთ ყველა წამოწყებაში.**

ცეკვა უცლით

გიორგი ჯანლიძე



გიორგი ჯანლიძე

ცეკვა უცლით

აღბათ, ბევრს ახსოვს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში, ტელეშოუ „ნიჭიერის“, 2015 წლის ფინალი. ეს იყო ამ კონკურსის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო წელი, რომელმაც არაერთი უნიკალური ნიჭის მქონე ადამიანი გამოავლინა. განსაკუთრებით ემოციური თემო არაბიძისა

და ქეთი ზაზანაშვილის მიერ შესრულებული ცეკვა ეტლით იყო. ეს უნიკალური, იშვიათი საცეკვაო ელემენტებით დადგმული ნომერი თავიდანვე აშკარა ფავორიტი გახდა. წყვილმა მაყურებელთა და ჟიურის აღფრთოვანება და შესაბამისად, პირველი ადგილი მოიპოვა. ეს გამარჯვება თემომ თავისი დედის ხსოვნას მიუძღვნა, რომელიც იმ საშინელი ავარიიდან, რომელმაც თემო ეტლზე მიაჯაჭვა, წელიწადნახევარში გარდაიცვალა. ავარია კი 2009 წლის აგვისტოში მოხდა. ქართული ხალხური ცეკვების ქორეოგრაფის სერტიფიკატს თემოს სულ რამდენიმე კვირა აშორებდა. თემოსთვის გაუსაძლისი აღმოჩნდა მის მიმართ თანაგრძნობის ცრემლებითა და მუდამ მეგობრებისა თუ ახლობლების შებრალებით გაჯერებული ყოველდღიურობა, რის გამოც მან თავის ცხოვრებაში სიახლის ძიება დაიწყო. ეს სიახლე, სწორედ, ქეთი აღმოჩნდა. მათ ერთმანეთი 2014 წლის იანვარში გაიცნეს პოლონეთის სელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. მაშინ ფონდ „ერთგული საქართველოსთვის“, მხარდაჭერით დაარსდა საცეკვაო თეატრი, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ. სპექტაკლში სხვა შეზღუდული შესაძლებლობის პირებიც იყვნენ დაკავებული. გასული წლის ივნისში თეატრმა მაყურებელს პრემიერა წარმოუდგინა: **ჩვენ ამ პროექტის მეშვეობით დავახლოვდით და იქვე, პროექტის მიმდინარეობისას ვიფიქრეთ, რომ წყვილში უნდა დავმდგარიყავით იმიტომ, რომ კარგად გამოგვივიდა. ცეკვით დადგმულ ჩვე-**

ულებრივი სპექტაკლში ჩვენ მთავარი გმირები ვიყავით. ეს იყო გოგონასა და ეტლით მოსარგებლე ბიჭის სიყვარულის ამბავი, სადაც მე ჩემ სამყაროს ვაჩვენებდი, ხოლო თემო-თავისას. ამის შემდეგ თემოს გაუჩნდა სურვილი, რომ „ნიჭიერში“, გავსულიყავით, ამბობს ქეთი, რომელიც პროფესიონალი მოცეკვავე და ქორეოგრაფია. თემო ცხრა წლის განმავლობაში ქართულ ხალხურ ცეკვებს ეუფლებოდა, მაგრამ 2009 წლის 16 აგვისტოს მომხდარმა ავტოსაგზაო შემთხვევამ თავდაყირა დააყენა მისი ცხოვრება. როგორც თემო იხსენებს, მიუხედავად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემისა, მას ცეკვის გაგრძელების სურვილი მუდმივად ჰქონდა. ქეთის გაცნობის შემდეგ კი, ეს სურვილი მიზანში გადაიზარდა და ამ შესანიშნავმა დუეტმა ტელე-შოუ „ნიჭიერისთვის“, მზადება დაიწყო: 2 წლის წინ ქორწინებაში ვიყავი. ჩემი მეგობარი, რომელთან ერთადაც ადრე ვცეკვავდი და რომლის გარეშეც დღე არ გამიტარებია, მოვიდა თვალცრემლიანი, ამიყვანა ხელში და უნდოდა, რომ ასე ხელში აყვანილი ვეცეკვებინე. ვუთხარი, დავესვი და ეტლით შევეცდებოდი ცეკვას. ავარია რომ მომივიდა, „ნიჭიერის“, პირველი სეზონი იყო და იმდენად მომინდა მონაწილეობა, რომ ცეკვის გარდა ყველაფერზე ვიფიქრე: მინდოდა მემღერა ან დამეხატა, მიუხედავად იმისა, რომ ხატვაში უნიჭო ვარ, გიტარაზე დაკვრამაც კი გამიელვა თავში, მაგრამ ვის გააოცებდი გიტარით. საბოლოოდ კი ისევ ცეკვა გადავწყვიტე, ამბობს საოცრად კომუნიკაბელური და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა. ფინალში გასვლა მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ისინი საფინალო ნომრის დადგმაზე მთელი თვე ფიქრობდნენ. იდეაში, ცეკვაში სხვა ეტლით მოსარგებლებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ დაიბლოკა და საბოლოოდ, ამ ნომერმა მიიღო ის სახე, როგორც იქნა წარმოდგენილი. ტრიუმფალური ნომერი ორ დღეში დაიდგა და როგორც მოცეკვავეები იხსენებენ, ეს იყო ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო მომენტი მათი ერთად მოღვაწობის პერიოდში. ქეთისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა პირველ ადგილს აიღებდნენ თუ მეორეს, რამეთუ ფინალში გასვლა მისთვის უკვე გამარჯვებაა. რაც შეეხება თემოს, ის პრინციპულად, ყოველთვის გამარჯვებისთვის იბრძვის, როგორც თავად ამბობს და ეს მასთან საუბრისას მალევე ცხადი ხდება: არ უყვარს ტერმინი შშმპ, ინვალდი-მითუმეტეს, ამბობს, რომ საკუთარ თავში ყოველთვის დარწმუნებულია და თანამოსაუბრეს მისი შებრალების უფლებას არ აძლევს. 22 წლის ბიჭის ამ მტკიცე ხასიათმა და ქეთის დაულალავმა შრომამ, ისინი ტრიუმფამდე მიიყვანა: როცა ბრძოლაში მივდივარ, უნდა მოვიგო. არ ვერთვები ისეთ ბრძოლაში, სადაც არ ვიგებ. როცა მეორე ადგილი გაქვს, მერე პირველიც გინდება, ამბობს თემო და ქეთის მაღლობას უხდის, მათ შორის, „ნიჭიერის“, მთავარი პრიზის გამო, რამეთუ, ამ მომხიბვლელმა ახალგაზრდა ქალბატონმა თავისი წილი მოგებული ბინაც თემოს დაუთმო, რამაც მას შესაძლებლობა მისცა, თერჯოლიდან თბილისში, დასთან ერთად საცხოვრებლად გადმოესულიყო. მოცეკვავეები აპრილში ყაზახეთში იმყოფებოდნენ, სადაც მეორე ღია ჩემპიონატი ჩატარდა შშმპ ცეკვაში. ნელს ოცზე მეტმა წყვილმა და ორმოცზე მეტმა კონკურსანტმა მიიღო მონაწილეობა. ლონისძიებაზე შვიდი ქვეყანა იყო წარმოდგენილი, მათ შორის-საქართველო. ეტლით მოსარგებლეთა სპორტული ცეკვები სხვადასხვა კატეგორიად არის დაყოფილი. ერთ კატეგორიაში შედის ჩვეულებრივი, ლათინური ცეკვები, რომელშიც შედის სამბა, ჩა-ჩა-ჩა და ა.შ. ხოლო მეორე არის ევროპული პროგრამა, რომელშიც შედის ვალსი, ტანგო და ა.შ. ასევე, არსებობს „ფრისტაილის“, კატეგორია ანუ მოუპროგრამა, რომელშიც შესაძლებელია ნებისმიერი ცეკვის შესრულება, მაგრამ იკრძალება დამხმარე ნივთების გამოყენება გარდა ეტლისა, რომლის გარეთ ცეკვაც აკრძალულია-კონკურსანტი ეტლზე უნდა იჯდეს: ჩვენ გავედით კომბი-ფრისტაილში ანუ წყვილიდან ერთი ფეხზე მდგომი უნდა იყოს, ხოლო მეორე-ეტლით მოსარგებლე. კომბი-ფრისტაილის მეორე კატეგორია კი ნიშნავს, რომ ადამიანს სრულფასოვნად უმუშავებს ზედა კორპუსი. კატეგორიები ტრავმების მიხედვით იყოფა-ძლიერი ტრავმა პირველ კლასში



გადის და მუსიკაც, ნაკლები დატვირვის გამო, უფრო ნელია. მეორე კლასში კი, უფრო მეტი კრიტერიუმია დასაკმაყოფილებელი. ჩვენ ძალიან მაღალი, 21 ქულით მეორე ადგილზე გავედით. მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონმა რუსეთიდან 28 ქულით პირველი ადგილი აიღო, გვიამბობს ქეთი ზაზანაშვილი. წყვილმა მიიღო განმეორებითი მინვევა ყაზახეთში, ჩინეთსა და პეტერბურგში, სადაც სექტემბერში მსოფლიო თასისა და კონტინენტების თასის გათამაშება გაიმართება. თემო და მისი მენეჯილე ქეთი, მომავალი საერთაშორისო ლონისძიებებისთვის დიდი ოპტიმიზმით ემზადებიან და მომავალი გამარჯვებებისთვის გეგმებს სახავენ. მათ სისტემატურად ინვევენ ამათუიმ ტელე-შოუსა თუ ლონისძიებაზე. რაც შეეხება თემო არაბიძის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ეს ათლეტური აღნაგობის, კუნთმაცარი ახალგაზრდა კაცი ინტენსიურად ვარჯიშობს როგორც სახ-

ლში, ასევე, დავით ტატიშვილის სარეაბილიტაციო ცენტრში. თუმცა, მეტროთი გადაადგილება მას საკმაოდ უჭირს, ყოველდღიურად ტაქსის დაქირავების საშუალება კი არ აქვს. ისრაელის კლინიკა, დღეისთვის არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, თემოს მაქსიმუმ რვა თვეში ფეხზე დაყენებას ჰპირდება. მის სრულ გამოჯანმრთელებას დაახლოებით 200 ათასი ევრო სჭირდება. ქეთი კვლავ განაგრძობს საკუთარი საცეკვაო სტუდიის მართვას. ამავედროულად, ის სა-

ქართველოს ეტლით მოსარგებლეთა სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი. თემოს და ქეთის ღრმად სწამთ, რომ შეუძლებელი არაფერია და მოუნოდებენ ეტლით მოსარგებლეთა მშობლებს, ნუ დამალავენ და ნუ გამოკეტავენ თავიანთ შვილებს, მისცენ მათ თავისუფლება და შესაძლებლობა, რომ თავად იპოვონ, დაიმკვიდრონ საკუთარი თავი საზოგადოებაში და მიაღწიონ დასახულ მიზნებს, რაც თავად მშობლებს ჯერ კიდევ წარმოუდგენლად მიაჩნიათ.

ტერმინები - 'ჭკუასუსტობა' და 'სულით ავადმყოფობა' კანონით უქმდება

ნიუპრასი



საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ე.წ. ქმედუუნარობის ინსტიტუტი უქმდება. ამასთან, კანონებიდან ამოდის ისეთი ტერმინები და მასთან დაკავშირებული ნორმები, როგორცაა „ჭკუასუსტობა“ და „სულით ავადმყოფობა“. მის ნაცვლად კი, ფსოქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ცნება – იგივე „მხარდაჭერის მიმღები პირის“ სტატუსი შემოდის.

ამასთან დაკავშირებით პარლამენტში წარდგენილია 6 კანონში დაგეგმილ ცვლილებათა პაკეტი, რომელიც დეპუტატმა თამარ კორძაიამ მოამზადა. პაკეტს ამ ნუთებში იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანდაცვისა და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე იხილავენ. ამ მიმართულებით დაწყებულ რეფორმას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უდევს საფუძველად. კერძოდ, 2014 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ფსიქიური დაავადებების გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქმედუუნარიანობის შეზღუდვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები არაკონსტიტუციურად სცნო. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი დაავადებულა შეემუშავენა და მიიღოს საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს

კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებების სტანდარტებთან, ასევე გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ მოთხოვნებთან, რომელიც საქართველოს მიერ 2013 წლის 26 დეკემბერს იქნა რატიფიცირებულ და ძალაში 2014 წლის 12 აპრილს შევიდა.

„საკონსტიტუციო სასამართლომ თქვა, რომ ქმედუუნაროდ პირის აღიარება ეს არის ადამიანის კანონის წინაშე თანასწორობის დარღვევა. მან თქვა, რომ ამ ადამიანებს ქმედუუნაროდ აღიარებით თავისუფალი განვითარების უფლება ეზღუდებათ და თითოეული მათგანის პატივი და ღირსება ილახება. მან თქვა, რომ პირადი თავისუფლების აღკვეთას აქვს ადგილი, მაშინ როდესაც „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონის თანახმად, ადამიანი შეიძლება სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებაში მისი ნების წინააღმდეგ განათავსონ. თქვა, რომ ქორწინების უფლება ილახება პირის ქმედუუნაროდ აღიარების შემთხვევაში და ილახება ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლება“, - განაცხადა თამარ კორძაიამ პარლამენტის გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე პროექტის წარდგენისას.

ცვლილებათა პაკეტით, კანონი მენტალური პრობლემების მქონე ადამიანებს სამართალსუბიექტებად აღიარებს, ანუ ისინი არიან ქმედუუნარიანები. როგორც ამასთან დაკავშირებით კორძაიამ განმარტა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საერთაშორისო კონვენცია ამბობს, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებს აქვთ ნებაც და უნარიც, უბრალოდ ჩვენ ვერ ვიგებთ მათ ნებას და არ ვენმარებით უნარების გამოუმუშავებაში.

კანონპროექტით შეთავაზებული ცვლილებების თანახმად, „მხარდაჭერის მიმღები“ პირი ქმედუუნარიან პირად ითვლება, რომელსაც ფსიქო-სოციალური საჭიროებების ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე, შეიძლება სასამართლოს მიერ დაენიშნოს მხარდაჭერი, ანუ პირი, რომელიც მას საკუთარი უფლებების რეალიზებასა და ინტერესების

დაცვაში დაეხმარება. კანონპროექტის თანახმად, განმარტებულია თუ რაში გამოიხატება მხარდაჭერა და რა ვალდებულებები აქვს მხარდამჭერ პირს. კერძოდ, ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე პირის მხარდამჭერი მოვალეა თვალყური ადევნოს ასეთი პირის მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, გამოიკვლიოს მისი სურვილები, არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში. მხარდამჭერი ასევე ვალდებულია, სასამართლოს მიერ დადგენილი პერიოდულობით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიაწოდოს ინფორმაცია სასამართლოს მიერ მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით.

კანონპროექტით შემოთავაზებულია „მხარდაჭერის მიმღები“ პირის მიერ ქორწინების შემთხვევაში საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულება, რომლის გაფორმების პროცესში სავალდებულოდ მონაწილეობენ მხარდამჭერი პირი (ანუ პირი, რომელიც სასამართლოს მიერ განისაზღვრა მხარდამჭერად) და მეურვეობის და

მზრუნველობის ორგანო, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი. აქვე, კანონპროექტი ითვალისწინებს დათქმას, რომ იმაზე მეტად არ უნდა ზღუდავდეს ასეთი პირის ქონებრივ უფლებებს, ვიდრე ეს სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებაში განსაზღვრული.

კანონპროექტის თანახმად, მხარდამჭერს სასამართლო ნიშნავს, რომელიც ასევე განსაზღვრავს მხარდაჭერის ფარგლებს და მხარდამჭერი პირის უფლება-მოვალეობებს. მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფარგლებში უფლება-მოვალეობების განხორციელებაზე ზედამხედველობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო განახორციელებს. აღნიშნული ორგანო ვალდებული იქნება ყოველ 6 თვეში ერთხელ გადამოწმოს მხარდამჭერის საქმიანობა. თავის მხრივ, მხარდამჭერი პირიც ამავე პერიოდულობით ვალდებული იქნება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიაწოდოს ანგარიში სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ფარგლებში საქმიანობის შესახებ.

ipn.ge

გაზაანთაიფროთ, სსზა გზა აზ გზაჰჰს!

ქეთი ბახტაძე



„რეჟიმი“ სჭირდება სოციალურ ბარიერებს – ფიზიკურს, ინფორმაციულს, სამართლებრივს, დამოკიდებულებებს და არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს“[1]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად იცხოვრონ საზოგადოებაში, გააკეთონ არჩევანი და აკონტროლონ მათი ყოველდღიური ცხოვრება სხვებთან თანასწორ პირობებში, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლით.[1]

Wikipedia-ში კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ სტატიას პარიზში მდგარი თანასწორობის ქანდაკების ფოტო ამშვენებს. ამ ქანდაკების ისტორიის მოყოლა შორს წაგვიყვანს. ყურადღებას მხოლოდ იმ ფაქტზე გავამახვილებ, რომ ეს ქანდაკება ქალია. არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ჩემზე უფროსი თაობისთვის.

საც, ძნელად წარმოსადგენია ისტორიული პერიოდი, როცა ქალების ნაცვლად გადაწყვეტილებებს იღებდნენ კაცები: მამები, ქმრები, შვილები, მაგრამ კაცები. ეს იყო დისკრიმინაცია გენდერული იდენტობის საფუძველზე, რომელიც ჯერ ნამდვილად არ აღმოფხვრილა, მაგრამ ქალებს თავად შეუძლიათ გადაწყვიტონ როგორ იცხოვრონ, სად იცხოვრონ, ვისთან ერთად, ვის მისცენ ხმა არჩევნებში და როგორ განკარგონ მათ საკუთრებაში არსებული ქონება.

ჩვენს გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა დისკრიმინაციასაც სისტემური ხასიათი აქვს და ამ წუთშიც ხდება რომელიღაც ინსტიტუციაში, ჩვენს მეზობელ სახლში, შეიძლება ჩვენს ოჯახებშიც, მაგრამ ამის გაცნობიერება ჯერ კიდევ გვიჭირს.

2014 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად ცნო ფსიქიური ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქმედუნარიანობის შეზღუდვის არსებული მოდელი. ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ იყვნენ აღიარებულნი კარგავდნენ ხმის მიცემის, საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის, ოჯახის შექმნის და სხვა ფუნდამენტურ უფლებებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ძალაში შესვლის გამო,

აუცილებელი გახდა აქამდე არსებული რეგულაციების შეცვლა. საქართველოს პარლამენტში, პარლამენტის წევრების, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთაგან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უარყო არსებული მიდგომები და ადამიანისათვის ფუნდამენტური უფლებების ჩამორთმევა შეცვალა მისთვის მხარდაჭერის დანიშნით.

შეცვლილი სისტემა მთლიანად მხარდაჭერას ეფუძნება და შემოაქვს ახალი ტერმინი – „ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირი“, რაც ამგვარად განიმარტება:

„პირი, მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. ეს დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად უნდა ართულებდეს მხარდაჭერის მიმღების მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვის, ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროებთან დაკავშირებით“.

ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ადამიანს, რომელიც შეიძლება იყოს როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ისე ხანდაზმული, სასამართლო დაუნიშნავს მხარდამჭერს, რომელიც გადანყვეტილებას კი არ მიიღებს მის მაგივრად, არამედ თავად მას დაეხმარება გადანყვეტილების მიღებაში. გადანყვეტილების მიღებაში მხარდაჭერა დაეფუძნება ადამიანის ინდივიდუალურ საჭიროებებს და წინასწარ იქნება განსაზღვრული ის სფეროები, სადაც შეიძლება წარმოიშვას მხარდაჭერის აუცილებლობა.

მრავალი ინდივიდუალური საქმე აჩვენებს, რომ ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირისათვის გადანყვეტილების მიღებაში მხარდაჭერა, მუშაობს იმაზე უკეთ, ვიდრე ჩანაცვლება და მის მაგივრად გადანყვეტილების მიღება. რაც ყველაზე მთავარია, მხარდაჭერა უზრუნველყოფს ადამიანის არჩევანის თავისუფლებას.

ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირებსა და ხანდაზმულებს, პერიოდულად აქვთ გამოწვევები საკუთარი საჭიროებების აღქმასა და საზოგადოებასთან კომუნიკაციაში და ასეთ დროს, მათი ოჯახის წევრები და მათზე მზრუნველები თამაშობენ გადამწყვეტ როლს, რომ გადანყვეტილების მიღება მოხდეს მათი საჭიროების შესაბამისად, მაგრამ მათი აზრისა და არჩევანის პატივისცემით.

ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ კანონის წინაშე თანასწორობა არ არის იმ ადამიანების პრივილეგია, რომელთაც არ აქვთ ქრონიკულად მძიმე ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა. გამორიცხული არ არის, რომ ასაკის ან გადატანილი მძიმე სტრესის გამო ჩვენც დაგვჭირდეს მხარდაჭერა გადანყვეტილების მიღებაში.

როგორც არ უნდა გვიჭრიდეს დღეს, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენს მიერ, სხვისი უფლებებისა და თავისუფლებების თაობაზე მიღებული გადანყვეტილება, არღვევს მის ფუნდამენტურ უფლებას – არჩევანის თავისუფლებას.

გასულ საუკუნეში, ქალებმა მოიპოვეს კანონის წინაშე თანასწორობა და მართალია მძიმედ, მაგრამ მაინც წინ მიინევენ გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა. ახლა მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაცია არანაკლებ მძიმეა იმ ადამიანისათვის, ვისაც ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, დაბადებიდან არათანაბარ პირობებში უნევს ცხოვრება.

<http://tbinternet.ohchr.org/~layouts/treatybodyexternal/>



პირველი სამადისინო რადიო
ტელ.: 2 42 10 03

უპნინო ყოველ ხუთშაბათს 14:00 სთ.-დან 18:00 სთ.-მდე
მაია ასაქვილის სააქციო ელაცემას
„აღაძინატი ვანსჯაყუტი ქსაძლქლოჭით“



იპელი+ იყითხოთ ყუბნალი „იპელი +“

ახალი საბჭო შშმ პირთა უფლებებისთვის



ექვსი თვეა, სახალხო დამცველი გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის ორგანოდ გამოცხადდა. 2015 წლის იანვარში შეიქმნა შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ მონიტორინგის პროცესს კურირებს.

დეპარტამენტს ამ დროისათვის ოთხი თანამშრომელი ჰყავს, რომელიც, საჭიროების მიხედვით, შესაძლოა, ექვსამდე გაიზარდოს. დეპარტამენტს წლის განმავლობაში 150 000 ლარი აქვს გამოყოფილი და სხვადასხვა მიმართულებით მუშაობას ითვალისწინებს.

კერძოდ ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს შექმნას, რომელიც სათათბირო ორგანოს ფუნქციას შეასრულებს.

დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ მონიტორინგის გზებზე კონკრეტულად ისაუბრა.

კერძოდ, რუსუდან კოხოდის განმარტებით, იქნება უშუალოდ მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ექსპერტთა ჯგუფი და შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტი, რომელიც ამ პროცესის კოორდინაციას მოახდენს. რუსუდან კოხოდის თქმით, საკონსულტაციო საბჭო ყველაზე მნიშვნელოვანია. ეს არის სახალხო დამცველთან არსებული სათათბირო ორგანო, რომელიც პრიორიტეტებს განსაზღვრავს.

საბჭო დაკომპლექტდება როგორც სახალხო დამცველის წარმომადგენლებისგან, ასევე მინვეული წევრებისგან. მინვეული წევრები იქნებიან შშმ პირები ან ამ საკითხზე მომუშავე ადგილობრივი ან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

საბჭოს კანდიდატები ომბუდსმენს ე.წ. DPO ორგანიზაციებმა უნდა წარუდგინონ. რაც შეეხება მათი არჩევის კრიტერიუმებს, ინდივიდი შშმ პირების შემთხვევაში, მას ამ სფეროში მუშაობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება უნდა ჰქონდეს, DPO ორგანიზაციებს - მინიმუმ 2-წლიანი, ასევე 2-წლიანი მუშაობის გამოცდილება საჭირო შშმ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც. ეს კი შესაბამისი დოკუმენტაციით უნდა იყოს დამოწმებული.

გარდა ამისა, საბჭოში უნდა იყვნენ სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირთა წარმომადგენლები, შშმ ბავშვების მშობლები და ფსიქოემოციური შეზღუდვის მქონე პირთა წარმომადგენლები.

საბჭოს შემადგენლობა წელიწადში ერთხელ, როტაციის პრინციპით, ახალი წევრებით ჩანაცვლდება. სხდომები 2 თვეში ერთხელ, საჭიროების მიხედვით კი პერიოდულად გაიმართება ხოლმე.

ასევე, საბჭოს წევრთა მოვალეობაა თემატურ ჯგუფებში მუშაობა და საბჭოს მუშაობის შესახებ ამ ჯგუფების ინფორმირება.

უჩა ნანუაშვილის განმარტებით, მონიტორინგის პროცესის დროს გათვალისწინებული იქნება როგორც კონვენციით გათვალისწინებული მიდგომა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის რჩევები: „ჩვენ უკვე პირველი ნაბიჯები უნდა გადავდგათ, რომ მდგომარეობა, გარკვეულწილად, გაუმჯობესდეს“, - განაცხადა ნანუაშვილმა.

პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიაზე სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და თავად შშმ პირებმა შენიშვნებიც გამოთქვეს - საბჭოს დაკომპლექტების, ეფექტიანობის, ასევე დაფინანსების საკითხებისა და როტაციის პროცესის შესახებ.

ომბუდსმენის შშმ პირთა დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ირინე ობოლაძის თქმით, დღევანდელი შეხვედრის მიზანი აღნიშნულ სტანდარტებზე კიდევ ერთხელ საუბარი და შშმ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მხრიდან რჩევების მიღება იყო. გარკვეული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ, ომბუდსმენის აპარატი საბჭოს დაკომპლექტებაზე დაიწყებს მუშაობას.

„გზა იმედისკენ“



2015 წლის 7 მაისს ქალაქ ოზურგეთის სპორტის სასახლეში ჩატარდა გურიის რეგიონის ჩემპიონატი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის სპორტის 4 სახეობაში: ჭადრაკში, ნარდში, შაშში და მკლავჭიდში.. არასამთავრობო ორგანიზაციამ „გზა იმედისკენ„ და საბიბლიოთეკო გაერთიანებაში მყოფი მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელმა ნინო ლომთათიძემ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წაიყვანა ქალაქ ოზურგეთში სპორტულ შეჯიბრზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით. შეჯიბრში მონაწილენი დიდი მადლობას უხდებიან ჩოხატაურის კულტურის ცენტრის თანამშრომლებს: მამუკა სანიკიძეს, გოჩა გათაშვილს, ირაკლი კუჭავას დათო შარაშიძეს თანადგომისათვის.

მონაწილეებმა დიდი ენთუზიაზმი გამოავლინეს აღნიშნულ შეჯიბრში. ამ ღონისძიებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა გამოხატეს თავიანთი აქტიურობა და საზოგადოებაში ჩართულობა. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ, გურიის გუბერნია, ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები.

დიდი მადლობა ჩინურ კომპანია „ფოხოუს“

ქველმოქმედება, სხვისი დახმარება, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ასეთი რჩეულია ჩინური კომპანია „FOHOW“ და მათი ხელმძღვანელობა, ისინი ნამდვილ მშველელად მოეკლინენ ჩვენს ორგანიზაციას და მის წევრებს.



ჩინური მედიცინა და მკურნალობის მეთოდები განთქმულია. კომპანია „FOHOW“-ს პროდუქცია ცნობილია მთელს მსოფლიოში თავისი უნიკალურობით, ბუნებრივი, მცენარეული შემადგენლობით, თანამედროვე მეთოდებითა და შედეგზე ორიენტირებული მკურნალობით.

კომპანიის მზრუნველობით წლებია უსასყიდლოდ მკურნალობს ჩვენი ორგანიზაციის რამდენიმე ბენეფიციარი. ტვინის მკვებავი კაფსულებით. „ლინჯის“, „თხევადი კორდიცეფსის“, „ორალ ლიქვიდის“ „ფენიქსისა“ და ჩაი „ბალზამის“ გამოყენებამ, მართლაც, სასწაული მოახდინა, მკვეთრად გააუმჯობესა ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობა და მათი ფსიქო-ემოციური ფონი, ხელი შეეწყო ინტელექტუალური შესაძლებლობების, წერის, კითხვისა და აზროვნების განვითარებას.

კომპანია „FOHOW“ წარმომადგენლებმა, მიკროცირკულაციის უსისხლო კაპილაროსკოპიის უნიკალური აპარატით, სპეციალისტმა ლია ჩაჩანიძემ და ასისტენტმა მაია ებრალიძემ უსასყიდლოდ გამოიკვლიეს ჩვენი დღის ცენტრის ბენეფიციარები და რეკომენდაციებიც გაუწიეს მათ.

გარდა ამ უნიკალური პრეპარატებისა, კომპანიამ ჩვენი ორგანიზაციის დღის ცენტრს საჩუქრად ინვენტარი და აპარატურა გადასცა. „FOHOW“-ს თანამშრომლები ყურადღებას და მზრუნველობას არც სადღესასწაულო დღეებში აკლებენ ჩვენს ბენეფიციარებს, მათ საჩუქრებითა და სხვადასხვა



ლონისძიებებში ჩართულობით ანებივრებენ.

დიდი მადლობა კომპანია „FOHOW“ ხელმძღვანელობას და მის თანამშრომლებს, ასეთი მხარდაჭერისა და თანადგომისთვის. მკურნალობის მეთოდებითა და მედიკამენტებით.

დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებელია კომპანიის წარმომადგენელთან დაკავშირება. საკონტაქტო პირი: მაია ებრალიძე 595 21 77 01.

„სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია.“

უამ ჯანჯანის მუხარბის საქმიანობა!

ინგა ლოლაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „მზის შვილები“ თბილისში, ნუცუბიძეზე ხსნის სარეაბილიტაციო ცენტრს „მზის სახლი“. ცენტრი ფუნქციონირებას დაიწყო 2015 წლის სექტემბერში.

ორგანიზაციამ პოლონელი სპეციალისტების რეკომენდაციითა და დახმარებით შეიმუშავა სარეაბილიტაციო ცენტრის ევროპულ სტანდარტებზე მორგებული სამუშაო მეთოდოლოგია. გთხოვთ, გაეცნოთ სერვისებს, რომელსაც სარეაბილიტაციო ცენტრი გთავაზობთ:

„ადრეული განვითარების ქვეპროგრამა, დღის ცენტრების ქვეპროგრამა, ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამა, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შშმ ბავშვების პირველადი შეფასება, განვითარების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება ყოველ 4 თვეში ერთხელ, განმეორებითი შეფასება.

გუნდი შედგება სპეციალისტებისგან: ექიმი-რეაბილიტოლოგი, ფსიქოლოგ-დეფექტოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, ფიზიოთერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამები.

• ბოგდანოვიჩის მეთოდი „კარგი დასაწყისი“ :

ამ მეთოდის ძირითადი მიზანია ბავშვის ფსიქო-მოტორული უნარების განვითარება სიმღერის, სპეციალურად ორგანიზებული თამაშებისა და გეომეტრიული ფიგურების გამოყენებით. ამ მეთოდის საშუალებით ვითარდება კითხვისა და წერის შესწავლისათვის საჭირო უნარები (შემეცნებითი, ვიზუალურ-სივრცითი, აუდიო- მეტყველებითი) და ხდება მათი ერთმანეთთან „თანამშრომლობა“ - (პერცეპცია-მოტორიკის ინტეგრაცია).

• არითმეტიკული უნარ-ჩვევების განვითარება გრუშჩიკ-კოლჩინსკის მეთოდით. ეხმარება ლოგიკური აზროვნებისა და არითმეტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

• ფსიქო-მოტორიკის სტიმულირება შორბორნის მეთოდით - ეს მეთოდი მსოფლიოში აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ფსიქო-მოტორიკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების თერაპიისათვის. ამ მეთოდის ამოცანაა:

- 1 - საკუთარი სხეულის აღქმა და მართვა
- 2- სივრცის აღქმა და მასთან ადაპტირება
- 3- სივრცის გაყოფა სხვებთან და შეხების საშუალებით მათთან ახლო კონტაქტის დამყარება

• შემოქმედებითი ფიზიკური თერაპია ლაბანის მეთოდით - ესაა შემოქმედებითი ვარჯიშები, რომლის დროსაც ბავშვი პედაგოგის მიერ სიტყვიერად გადაცემულ ვარჯიშებს ასრულებს. ამ მეთოდს მოძრაობის იმპროვიზაციასაც უწოდებენ.

აძლიერებს ფანტაზიასა და შემოქმედებითობის უნარს - ბავშვები აკეთებენ თავის მიერ მოგონილ მოძრაობებს.

- მუსიკათერაპია
- ოკუპაციური თერაპია
- მულტიმედიური განათლების პროგრამა
- მონტესორის მეთოდის ელემენტები
- დიდაქტიკური თამაშები
- ზღაპრის თერაპია
- მეთოდი „პროექტი„
- მეთოდი „ხატვა 10 თითით„
- მეტყველების აღქმის სტიმულირების თერაპია
- ვარჯიშები ბობატის მეთოდით
- გამოყენებითი ქცევითი თერაპია
- დოგოთერაპია
- ჰიდროთერაპია - აუზი(ცენტრს აქვს 4 აუზი)

- არტ-თერაპია
 - საოჯახო მედიცინის ცენტრი - პედიატრის ადაპტრებული მომსახურება,
 - აცრების კაბინეტი
 - 4 თვეში ერთხელ სტომატოლოგიური გასინჯვა-მომსახურება
 - 6 თვეში ერთხელ ვინრო სპეციალისტების გუნდის (ბავშვთა კარდიოლოგი, ნევროლოგი, ენდოკრი-ნოლოგი, ოტო-რნო-ლარინგოლოგი) მიერ ამბულატორული გასინჯვა
- ორგანიზაცია „მზის შვილები“ ატარებს გამოკითხვა-ანკეტირებას მომავალი ბენეფიციარების და მათთვის საჭირო სერვისების მოცულობის განსაზღვრის მიზნით.
- სამწუხაროდ ცენტრს თავდაპირველად ექნება შესაძლებლობა მიიღოს ბენეფიციარების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა, ამიტომ გთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად შეავსოთ ანკეტა. გმადლობთ წინასწარ

არასამთავრობო ორგანიზაცია „მზის შვილების“ განცხადება

ძვიფასო მეგობრებო, არასამთავრობო ორგანიზაცია „მზის შვილებმა“, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მოზარდების პრობლემებზე მუშაობს, მარტვილის რაიონში დააფუძნა რეგიონული წამომადგენლობა, რომლის ხელმძღვანელიც „მზის შვილების“ გამგეობის წევრი ფატიმა ბასილაიაა, „მზის შვილების“ მარტვილის წარმომადგენლობა გეგმავს აქტიური მუშაობა ჩაატაროს რეგიონის შშმ ბავშვებთან და მოზარდებთან, გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ შშმ პირთა ოჯახის წევრები და მოგვეწეროთ რა პრობლემებზე გსურთ აქცენტის გაკეთება, რათა შემდგომი სამოქმედო გეგმის შედგენისას გავითავალისწინოთ. mz.shvilebi@gmail.com

ინგა ლოლაძე

„გემუდარებით, დაგვეხმარეთ თუნდაც ინფორმაციის გავრცელებაში“



გამოქვეყნების თარიღი: აპრილი 23, 2015წ.
კატეგორია: ახალი ამბები, საზოგადოება, სოციალური მედია თბილისში, ისანში მცხოვრებმა მაკა რიგვავამ საინფორმაციო სააგენტო „GNnews“-ს თხოვნით მიმართა. ქალბატონის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ;

„გემუდარებით, დაგვეხმარეთ თუნდაც ინფორმაციის გავრცელებაში....ჩემს შვილს მარიამს სჭირდება ოპერაცია, მას აქვს თავის ტვინის ჰიდროცეფალია და ცერებრალური დამბლა...მარიამი 8 წლისაა და ეტლშიც კი უჭირს ჯდომა...ოპერაცია საკმაოდ ძვირი ღირს, რისი საშუალება ჩვენ არ გვაქვს....ვართ მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი ოჯახი... ოპერაციამდე მარიამის მდგომარეობა რომ არ

გაუარესდეს, უკეთდება რეაბილიტაცია, 1 კურსი ღირს 350 ლარი...კეთილი ხალხის დახმარებით ვახერხებთ რეაბილიტაციას ამ თვეში....ვიცი ყველას აქვს თავისი პრობლემა თუ საზრუნავი...მაგრამ იმაზე საშინელი არაფერია, როცა შენს შვილს უყურებ, როგორ იტანჯება და უძლური ხარ...გემუდარებით თუნდაც მცირედით ამოგვიდგეთ მხარში....ყველას დიდი მადლობა, ვინც მატერიალურად თუ მორალურად ამოგვიდგა მხარში...ღმერთმა დაგიფაროთ ყველა მსგავსი სიტუაციისგან...ჯანმრთელობა ნუ მოგაკლოთ თქვენ და თქვენს ახლობლებს...ჩვენთვის ყოველ თეთრს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.


მარიამის ანგარიშის ნომერია
GE24BG000000307308600 საქართველოს ბანკი,
მიმღები მაკა რიგვავა ან სწრაფი ჩარიცხვის paybox-ის აპარატებიდან (სხვადასხვაში) eMoney ანგარიშის ნომერი 371728446
დარეკეთ მაგთიდან და ბილაინიდან ნომერზე 0901700100 ზარის ღირებულება 1 ლარი
საკონტაქტო ნომერი 555224748 მაკა რიგვავა (მარიამის დედა)
ყველას დიდი მადლობა თანადგომისთვის“
ჯემალ ლამბაშიძე

<http://gnnews.ge/?p=9584>

სამკურნალო პედაგოგიკა

ქარლ კიონიგი, მემო-სენიტივიზმი სენსორული ლეკვეზები

გაბრიელა, ლანაქისი №4



პატარა ბავშვი სწავლობს მზერას, ხელის მოკიდებას, სიარულს. მზერა, ხელის წაწვება, ნაბიჯი ინკარნაციის საფეხურები არიან, მაგრამ ინკარნაციის ამ საფეხურებთან ერთად ხდება დისკრიმინაცია. მე ვიყურები სამყაროში, ვხედავ, ხელს ვკიდებ საგანს და ამ დროს რაღაცას ვიძენ, ეს ჩემი განცდა ხდება. მე დავდივარ, მაგრამ მე საგნისკენ მივდივარ. ესაა განვითარების თანხვედრი პროცესები, რომელთა შეცნობაცაა აუცილებელი. განვითარებადი ბავშვის ინდივიდუალობა არსებითად ორ ნაბიჯს დგამს: ერთი იდგმება ინკარნაციაში, რითაც სწავლობს სხეულის დაუფლებას. სხეულის განვითარებისას ვითარდება ოთხი ქვედა შეგრძნება და ამასთან კავშირში მოტორიკაც. ყოველი მოტორული დარღვევა ინკარნაციის დარღვევაცაა. მეორე ნაბიჯი ვითარდება სამყაროში. აქ სახეზეა დისკრიმინაცია, კერძოდ ურთიერთგარჩევის უნარის შექმნა. ორივე პროცესი გარკვეულწილად თავის მიმართულებით მიდის. სხეულში ინკარნაცია ცენტრიფუგულად ხდება, ხოლო დისკრიმინაცია საპირისპირო მიმართულებით. თანდათან ხდება ზოგადი, მითიური განცდის დაცხრილვა და ხილუ-

ლი ხდება ცალკეული საგნები და ნივთები. ბავშვი იწყებს დედისა და მამის, და-ძმების, ფანჯრების, რაც ჰაერშია, იმის ერთმანეთისაგან გარჩევას. ბუზი, პეპელა, ყველაფერი, რაც დაფარფატებს, დიდხანს ერთგვაროვანი რჩება, სანამ მათი გარჩევაც დაიწყებოდეს. ყვაველები რომ სხვადასხვანაირნი არიან, განსხვავება რომ არსებობს ზიზილას და სხვა ყვაველებს შორის, ზოგჯერ გვიან ასაკშიც შეუმჩნეველი რჩება. მაგრამ ბავშვებთან თანდათანობით განვითარება ხდება. ნელ-ნელა იმის წყალობით აღვიქვამთ სამყაროს, რომ ურთიერთგარჩევას ვსწავლობთ. საკუთარ სხეულს კი იმის შედეგად აღვიქვამთ, რომ უფრო და უფრო განვიცდით მას როგორც მთლიანობას, როგორც სხეულებრივ სქემას.

მე გუშინ მივითითეთ, რომ ემბრიონი უამრავი ერთმანეთისგან მთლიანად განსხვავებული ნაწილისაგან შედგება. გული სხეულის გარეთ ვითარდება. თავის ტვინი თავდაპირველად ნაკლებადაა დაკავშირებული სხვა ორგანოებთან. თვალეები შიგნიდან გარეთ ყალიბდება, ყურები გარედან შიგნით. ემბრიონული პერიოდისას ყველაფერი ეს ნელ-ნელა ერთდება, კოორდინირდება და ასე წარმოიქმნება სხეული. დაბადების შემდეგ იგი მთლიანდება ოთხი ქვედა შეგრძნების წყალობით და ჩვენი არსებობის საფუძველი ხდება. ამის საპირისპიროდ სამყარო ნაწევრდება ისე, რომ ორი წლის ასაკში ბავშვი სახელდებას იწყებს. და მხოლოდ მაშინ, როცა წარმოდგენისა და აზროვნების პირველი ნაბიჯები გადაიდგმება, შეუძლია ბავშვს დაიწყოს განსხვავებულობების აზროვნებაში კვლავ დაკავშირება. აი, ამაში მდგომარეობს ბავშვის განვითარება.

ყოველ ბავშვთან ყურადღება უნდა მივაქციოთ ინკარნაციასაც და დისკრიმინაციასაც. ჩვენ უკვე შევხებთ მოტორიკის საფეხურებს: მაგრამ როგორ შევიცნოთ გარესამყაროსათვის გამოვლიძება? უნდა ვკითხოთ დედას: როგორ გაილიმა პირველად თქვენმა შვილმა, როდის გაილიმა, როდის გამოგინვდინათ ხელები, როდის გააყოლა თვალეები საგანს, როგორ დაიწყო ყურის გდება? თუ კიდევ მიაღვენებთ თვალს დისკრიმინაციის მიმდინარეობას, მიაღვენებთ ერთ სრულიად გარკვეულ პუნქტს. ესაა მიბაძვა. დღესდღეობით ბავშვის ანთროპოლოგიაში მას ასევე არ ექცევა სათანადო ყურადღება, როგორც, მაგ., ოთხ ქვედა გრძნობას, არადა არაფერია ისე მნიშვნელოვანი ბავშვის განვითარებისათვის, — ამაზე გადაჭრით მიუთითა რუდოლფ შტაინერმა — როგორც მიბაძვის ძალა, ფაქტი, რომ ბავშვი ბაძავს სამყაროს.

გუშინ მოტორულ დარღვევებთან დაკავშირებით ვისაუბრეთ მარტოსულ ადამიანებზე. როგორც ვთქვით, ამგვარი მარტოსული კაცი არაა ისეთი, რომელიც კონტაქტს ვერ ამყარებდეს. სპასტიკურ ბავშვებს აქვთ კონტაქტები და მაინც მარტონი არი-

ან, იზოლირებულნი,, ვინაიდან ამორთულნი არიან იმ სფეროდან, რაც აგიღწერეთ — ჰაერის, სიმაღლის, მიწის სიმძიმის სფეროდან. მაგრამ, როცა ბავშვზე ვგეზულობთ, რომ მას, მაგ., არ გაუღიმიო, რომ არ მიქცეულა გარემოსაკენ, არ ჰქონია თავისუფალი, შემოქმედებითი მიბაძვის უნარი, არ უთამაშია, მაშინ უნდა იცოდეთ: დარღვეულია ამგვარი ბავშვის კონტაქტის უნარი. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მიბაძვის უნარი კონტაქტის წინა საფეხურია. ამ ორი გზის — სხეულში და სამყაროში მიმავალის, ინკარნაციისა და დისკრიმინაციის — ურთიერთქმედება იწვევს იმას, რაც მიბაძვად იქცევა. მიბაძვის და თამაშის წყალობით ვითარდება სხვა ადამიანებთან ჭეშმარიტი კინტაქტი. კონტაქტი ნაბიჯია განვითარებაში და მიბაძვისა და თამაშის შედეგად ვითარდება. სადაც კი უკონტაქტო ბავშვს ნახავთ, იქნებიან ისინი აუტისტები თუ ფსიქოტურები, ამ ბავშვებს არც მიბაძვის ძალა ექნებათ, არც თავისუფალი შემოქმედებითი თამაშის უნარი. საფუძველი ძირითადად არის არა ინკარნაციის დარღვევა, არამედ ის, რომ არაა მიღწეული დისკრიმინაცია, კერძოდ სამყაროს განცდა.

მოვიყვან ორ მაგალითს. პირველი: უსინათლო ან სუსტად მხედველი ბავშვი. არაა საკმარისი იმის თქმა, რომ იგი უბრალოდ ვერ ხედავს. ბრმა ბავშვი თავიდან ფეხებამდე სხვანაირია, ვიდრე მხედველი ადამიანი. უკანასკნელი წლების განმავლობაში გაირკვა, რომ ბრმა მხედველისაგან ნივთიერებათა ცვლითაც კი განსხვავდება. და თუ ამის საფუძველზე რისი ახსნაც შევეცადეთ, მოვინდომეთ უსინათლო ბავშვის არსების გაცნობა, რას აღმოვაჩენთ? ცხადია იმას, რომ თვალები ავადმყოფურადაა შეცვლილი და შესაძლოა მხოლოდ სინათლე აღიქმებოდეს. ადგილი არ აქვს იმ დისკრიმინაციას, რომელიც ასე მჭიდროდაა თვალებთან დაკავშირებული. იგი ზოგადი რჩება. იმ სტადიაზე ჩერდება, როდესაც პატარა ბავშვი ჯერაც მითიურად განიცდის სამყაროს, თუმცა ინკარნაციაც მიმდინარეობს. თვალები, რომლებიც არჩევენ, ერთმანეთისაგან გამოყოფენ საგნებს და მოვლენებს, არ მოქმედებს და რადგანაც სამყაროც არ ზემოქმედებს, არ მოიცავს ადამიანს ჩამომყალიბებლად, დისკრიმინაციულად. მოძრაობები სტერეოტიპული რჩება და ამგვარ ბავშვში გარკვეული ზომით არსებობს შიში. მხოლოდ მაშინ, როცა ნამდვილად დაუკვირდებით ზემოთქმულს, მიხვდებით, თუ რატომ ემანჭება ბრმა ბავშვს სახე. მას არ შეუძლია მშვიდი სახე ჰქონდეს. ტუჩები უმოძრავეს, თვალები უხამხამებს. ლოყები ევლანება. თუ კი მის ყურადღებას რამე არ იპყრობს, სახე განუნყვეტლად უთამაშებს. მთელი სხეულის მოტორიკა ეუფლება სახეს ნაცვლად იმისა, რომ იგი ღიად წარუდგეს სამყაროს. ბრმა ბავშვთან კონტაქტის დამყარება ხშირად ძნელია, ვინაიდან ასეთი ბავშვი მეტისმეტად ცხოვრობს სამყაროში და პირისპირ კონტაქტი საერთოდ არ შეუძლია. კონტაქტს მუდამ ბრმა ბავშვის სხეული ელობება.

მეორე მაგალითი: სმენადაქვეითებული და ყრუ ბავშვი. აქაც საქმე უბრალოდ იმაში როდია, რომ ადამიანს არ ესმის. კვლავ მთელი პიროვნებაა სხვანაირი. მისი ადგილი სამყაროში და სხეულებრივ ორგანიზაციაში დიამეტრულად საპირისპიროა ბრმისა. ყრუ ადამიანში თვალი ფხიზელია. როდესაც

ყურს არ ესმის ან სუსტად ესმის, სამყაროს აღიქვამს თვალი. აქ არა მარტო დისკრიმინაციაა განსაკუთრებულად განვითარებული, არამედ მოტორიკაც. სხეულის ეს დაუფლება ყრუ ადამიანზე შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისი შეგრძნებებით და კიდურებით გადამხტარია სამყაროში. იგი ძალზე ღრმად შედის სამყაროში და სხეულში. მისი საპირისპიროა ბრმა ადამიანი, რომელიც გაუბედავად ცდილობს მოიცვას სხეული და გარემო. თუ გვსურს დახმარების განწევა მისთვის, არა მარტო ის უნდა განვიცადოთ, რომ კაცი ვერ ხედავს, არამედ ბოლომდე უნდა შევიგრძნოთ ბრმის გაუბედავი, მომსინჯავი, მიყურადებული მდგომარეობა, ყრუს აგრესიული მზერა და მოძრაობები. მაშინ ეს განცდა უშუალოდ მიგვახვედრებს: ყრუ ადამიანი უნდა დავამშვიდო. მას ყური უნდა დავაგდებინო. უნდა მივეშველო, რომ მსმენელი გახდეს. ბრმას უნდა შევადლებინო მზერა. მაგრამ ჩუმად, ნაზად, ამასთან აქტიურად. ისე, რომ მან დაინყოს სხეულისა და სამყაროს დაუფლება. მე ვიცი, რომ იგი ვერ შეძლებს ხედვას, მაგრამ დაუფლება მზერას. მზერა კი სხვა რამაა, ვიდრე მხედველობა. ალბათ, სმენადაქვეითებულიც ვერ შეძლებს სმენას, მაგრამ ისწავლის ყურის დაგდებას. როდესაც ამგვარი განწყობა დამკვიდრება სმენადაქვეითებულთა და უსინათლოთა სკოლებში, მაშინ იქნება შესაძლებელი დახმარების განწევა.

დღევანდელ დროში სულ უფრო და უფრო მეტი აუტისტური, ფსიქოტური ბავშვი, უკონტაქტო ადამიანი ჩნდება. ახლა ჩვენ არ გამოვიკვლევთ ამის მიზეზებს, მაგრამ ვიკითხავთ, თუ რაშია აქ საქმე, რასთან გვაქვს აქ საქმე, მას შემდეგ რაც ყრუ და უსინათლო, ანუ სენსორული დარღვევების მქონე ადამიანების მაგალითები განვიხილეთ? რაშია საქმე, როცა ბავშვი აღარ იღიმება, აღარ ბაძავს, აღარ თამაშობს, ადამიანს აღარ უყურებს, აღარ ამყარებს ადამიანურ ურთიერთობებს?

აუტისტ ბავშვთა უმრავლესობა ისეა ჩართული სამყაროში, რომ ყველა სივრცითი და დროითი მიმართება ფიქსირდება. ყოველ დღე ერთი და იმავე დროს ერთი და იგივე რამ უნდა გაკეთდეს. თუ ეს არ ხდება ბავშვს სასონერკვეთის შეტევა იპყრობს. იგი ერთსა და იმავე მაგიდასთან ერთსა და იმავე ადგილას უნდა იჯდეს, ერთი და იმავე ფინჯიდან სვამდეს ერთსა და იმავე წვენს ან რძეს. ამგვარ ფიქსაციათა ყველა ცვლილებას მოსდევს ყვირილი და კრუნჩხვები. რას ნიშნავს ეს?

მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამგვარ ადამიანს ურთიერთობები არ აქვს, რომ სამყაროსთან კონტაქტი განწყვეტილია. კონტაქტი დარღვეულია, მაგრამ არა იმიტომ რომ ბავშვს კავშირი არ აქვს გარემოსთან, არამედ იმიტომ, რომ ეს კავშირი მეტისმეტად ძლიერია. ბავშვი არ ცხოვრობს თავის სხეულში, არამედ მაგიდაში, სკამში, დღის მიმდინარეობაში, ფანჯარაში, რძეში, ყველაფერში, რაც გარშემოა. იგი სხეულში კი არაა, არამედ საგნებსა და გარემო მოვლენებშია ფიქსირებული. აქ საჭიროა ამ ფიქსაციების მოხსნა. დახმარება ამგვარი ბავშვისათვის, რომელიც სხვა ადამიანებს “მე“-ს ეუბნება. თავის თავს კი “შენ“-ს, განთავისუფლდეს ამ ფიქსაციებისაგან.

ამგვარი ბავშვი იმიტომ ვერ ამჟღავნებს კონტაქტს, რომ მას აკლია ის, რაც სიტყვა დისტანციით აღინიშნება. მას არ აქვს დისტანცია, ისევე როგორც ჩვილ და პატარა ბავშვს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ეცემა, სტკივა და ტირის, როცა უარს ეუბნება, როცა იწყებს ცხოვრებისეული სიმპტომების განცდას და ამგვარად დისტანციას იძენს, რომელზეც ხილის გადება სურს, მაშინ წარმოიქმნება კონტაქტი. კონტაქტი გაქვავებული ერთად ყოფნა როდია. კონტაქტი არის მიზაძვა, თამაში, ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა ფართო გაგებით, კერძოდ სხვასთან ერთად და საკუთარ თავთან ყოფნა. აუტისტურ ბავშვს სამყაროსეული სამოსი აცვია და ვერ ბედავს მისგან გამოთავისუფლებას. სამყაროს იგი მოჯადოებული ჰყავს, რადგანაც დისკრიმინაციის, საგანთა შემეცნების ნაბიჯი არ გადაუდგამს. ამგვარი ბავშვი იღებს მაგ., წიგნს და კიდევ გააყოლებს თითს, ვინაიდან ჯერ არ ესმის, რომ ესაა წიგნი, რომლის გადაშლა და დახურვაც შეიძლება. ბავშვი არ უკავშირდება მას როგორც მე, არამედ ისე ცხოვრობს მასში, რომ ვერ იმეცნებს. ერთადერთი, რაც სწორად წარმოქმნის დისტანციას არის მეტყველების გამოლოცობა. მხოლოდ მეტყველების გაჩენისას და ჩამოყალიბებისას იქცევა სამყარო, სხეული და მე იმ სამკუთხედად — არ გაიგოთ ეს

მისტიკურად – რისი საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია კონტაქტის დამყარება, თუ როგორ ხდება ეს, ამაზე შემდეგ ლექციაში ვისაუბრებთ. მაგრამ ამის ნამდვილად გასაგებად ჯერ უნდა შევეხოთ იმ პრობლემატიკას, რითაც ხვალ დაგკავდებით, როცა მარჯვენა-მარცხენას განვიხილავთ.

5. უსინათლობისა და სიყრუის მაგალითები აქ არჩეულია, რათა ახსნილ იქნეს თუ როდენ საჭიროა განსხვავებული (დისკრიმინაციის მომხდენი) გრძნობადი ალქემები, განსაკუთრებით მხედველობა. სამყაროსაგან სათანადო დისტანციის მოსაპოვებლად. მხოლოდ შემდეგ შეიძლება კონტაქტის დამყარება. ბრმა და ყრუ ბავშვში გვაქვს ამ პროცესების ორი სახის პირველადი დარღვევა. თუმცაღა სიბრმავისა და სიყრუის შედეგების შერბილება შეიძლება სხვა შეგრძნებების დახმარებით. მაგ., შეხების გრძნობით. მრავალ უკონტაქტო ბავშვს არ აქვს აქტიური დისკრიმინაციის განმასხვავებელი გრძნობადი ალქემის უნარი, თუმცა ოპტიკური მხედველობის უნარი დაზიანებული არ არის.

6. ტყუილად როდი ხმარობს ენის გენია სიტყვა “წვდომას” “გაგების” მნიშვნელობით. ამ მაგალითით შედგვიძლია შევიცნოთ, თუ როგორ ვრცელდება გარემოში აუტისტი ბავშვის სხეულის შეგრძნებები და გარემო მისი სხეულებრივი განცდების უდისტანციო ნაწილი ხდება.

ჩა ჩჩის დინსტიტუციონალიზაცია?

ჩა ჩჩის ინსტიტუციუმი?

ინსტიტუციები ხანგრძლივი საცხოვრებლებია, რომელიც აცალკევებს და გამოყოფს ადამიანებს მათი ფსიქიკური, ინტელექტუალური და შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების გამო. ინსტიტუციები ორგანიზებული კულტურის დამახასიათებელი ნიშანია. ინსტიტუციები ადამიანებს ადგილს მიუჩენს /ანაწილებს ჯგუფებში და ხელსუშლის ინდივიდუალიზმის განვითარებას, აიძულებს მასობრივ მკურნალობას და ეყრდნობა მომუშავე პერსონალსა დამაცხოვრებლებს/რეზიდენტებს შორის უთანასწორო მდგომარეობას ან სტატუსს. ინსტიტუციები ზღუდავს პირადსაკუთრებას და აქვს ფიქსირებული განრიგი მაგალითადკვებისა და სეირნობისთვის - რომელიც ხშირად შეუსაბამო მცხოვრებლების სურვილებსა თუ საჭიროებებთან.



ინსტიტუციების მცხოვრებლებს არ გააჩნიათ განცალკევებისთვის საჭირო პირადი სივრცე, მათ უნდა იცხოვრონ ისეთ ადამიანებთან, რომლებთან ცხოვრებაც მათ არაურჩევიათ და შეიძლება არც მოსწონდეთ. ინსტიტუციისთვის არაქვს მნიშვნელობა ზომას: მცირე მასშტაბშიც კი შეიძლება მუდმივად წესდებოდეს ასეთი პირობები.

რა არის დეინსტიტუციონალიზაცია და რატომ არის ის აუცილებელი?

დეინსტიტუციონალიზაცია არის მცხოვრებლების თანდათანობითი გადანაწილება ჩვეულებრივ დასახლებაში, ანუ თემში და თან ახლავს იმ მომსახურებების განვითარება, რომლებიც ახდენს საზოგადოებაში მათ ჩართვას (ინკლუზიას), სთავაზობს პერსონალურ დახმარებას, მხარდაჭერასა და კოორდინაციას. ასე რომ, ადამიანებს შეუძლიათ იცხოვრონ ისე, როგორც მათ სურთ.

ზოგიერთ ინსტიტუციას შეუძლია განიცადოს ცვლილება და აქციოს საკუთარი თავი მომსახურების მიმწოდებლად: დახუროს ინსტიტუცია, გადაიყვანოს პერსონალი საოჯახო ტიპის მომსახურებაზე, დღის სერვისის განვითარებასა და ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. მხარდაჭერა გულისხმობს აგრეთ-

ვე ტრანსპორტირებას, სამუშაო ადგილის მოძებნას, მიხმარებას სამუშაო ადგილზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების აღზრდაში მონაწილეობას. მთელ მსოფლიოში კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანები უკეთ ხდებიან (PDF) როდესაც ტოვებენ ინსტიტუციებს (თითქმისგამონაკლისის გარეშე).

შეზღუდული შესაძლებლობების გამო სეგრეგაცია ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევაა. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია არის კანონიერი ძალის მქონე საერთაშორისო იარაღი, რომელიც ანებს სტანდარტებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებზე. კონვენციის თანახმად - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირს აქვს უფლება, სხვებთან თანასწორად და საკუთარი არჩევანის შესაბამისად იცხოვროს საზოგადოებაში. „ასევე, ეს კონვენცია სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ბინაზე ინსტიტუციური თუ სხვა მომსახურების ფართო სპექტრი, მათ შორის, სახლში მხარდაჭერის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმისთვის საჭიროდა იზოლაციის, განცალკევების პრევენციისათვის აუცილებელი ინდივიდუალური დახმარება. ქვეყნების უმეტესობა ეთანხმება ამ კონვენციას და მათმა უმეტესობამ რატიფიცირება მოახდინა.

რატომ არ უნდა გავუუმჯობესოთ ინსტიტუციებს პირობები, რომ უფრო ჰუმანური გახადოთ?

სანამ საზოგადოებრივი ინსტიტუტების კრიტიკის უმეტესი ნაწილი ფოკუსირებულია მოვალეობის ცუდად შემსრულებელ დაწესებულებებზე ან უგულვებელყოფისა და აბუჩად აგდების საშინელ პრაქტიკაზე, რეალური პრობლემა ინსტიტუციონალიზაციის კულტურა უკან გვრჩება.

მაშინაც კი, როდესაც ფიზიკური გარემო კარგია, ინსტიტუციები ართმევს ინდივიდს ნამდვილ თავისუფლებას, გამოყოფს საზოგადოებისგან, ახშობს ინდივიდუალური არჩევანისა და პერსონალური გამოხატვის საშუალებას, ავითარებს იმ აზრს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები განსხვავებულნი არიან და ამიტომ ცალკე უნდა ცხოვრობდნენ (მ.შ.) და მათ არ შესწევთ უნარი დაიკავონ ადგილის საზოგადოებაში.

ზოგიერთი ადამიანისთვის ინსტიტუცია უკეთესი ადგილი არაა ვიდრე საზოგადოება?

ყველას, მათაც კი ვისაც შეზღუდული აქვთ ინტელექტუალური უნარები, შეუძლიათ ცხოვრება საზოგადოებაში სწორად განეული დახმარების და მხარდაჭერის საშუალებით. მონაცემები გვიჩვენებს, რომ საზოგადოების მხრიდან ხარისხიანი მომსახურებებს მივყავართ მაღალი ინდივიდუალური კმაყოფილებისა და სოციალური ჩართულობისკენ.

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ დეინსტიტუციონალიზაციის (დაწესებულებებიდან გამოყვანის და საზოგადოებაში ჩართვის) პროცესი მარტივია.

ძალიან ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის დაწესებულებაში ცხოვრების გარდა სხვა ცხოვრებისეული გამოცდილება უცნობია. მათი არსებული გამოცდილება და არჩევანი ძალიან შეზღუდულია, როგორც ნებისმიერი ადამიანის, ვინც განიცდის ძლიერ ცვლილებებს. ასე რომ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსაც საჭიროებათ დახმარება საზოგადოებაში ჩართვის პროცესში.

ინსტიტუციების გარდა, საზოგადოებაზე დამოკიდებული სხვაალტერნატივებიც ასევე პრობლემატურია?

ინსტიტუციის არსებობის კულტურის გაქრობა ისევე მნიშვნელოვანია როგორც თვითონ დაწესებულებების გაუქმება.

ნებისმიერი მომსახურება, რაც არსებობს საზოგადოებაში, რომელიც ხელს უშლით შშმ პირებს გააკეთონ თავისუფალი არჩევანი, იმოქმედონ საკუთარი შეხედულებისამებრ, ან ის რაც გამოყოფს მათ საზოგადოებისგან, შეგვიძლია განვიხილოთ ისევე, როგორც - დაწესებულება. შეიძლება, რომ ზოგი სათემო-საოჯახო ტიპის ალტერნატივა იყოს ისევე პრობლემური, როგორც ინსტიტუცია?

ინსტიტუციების დემონტაჟი ის ამოცანა არაა, რომელზეც თანხები უნდა დაიზოგოს. ნებისმიერი მომსახურება, რომელიც საზოგადოებაშია და არ აძლევს უფლებას შშმ ადამიანებს მიიღონ გადაწყვეტილებები საკუთარ ცხოვრებაზე, მოიქცნენ საკუთარი შეხედულებებისამებრ, ან განაცალკევებს, თუნდაც ზღუდავს მათ, უკვე ინსტიტუციაა!

საოჯახო ტიპის საცხოვრებლები უფრო ძვირი არ ჯდება?

დეინსტიტუციონალიზაცია არაა ხარჯების შემცირების საცდელი პრაქტიკა; ესაა გზა იმაში დასარწმუნებლად, რომ ადამიანების ფუნდამენტური უფლებები დაცული და მხარდაჭერილია.

აქედან გამომდინარე, არასწორი შეხედულებაა, რომ თემზე დაოჯახზე დაფუძნებული სერვისები უფრო ძვირადღირებულია, ვიდრე დაწესებულებების ხარჯები. კენტის უნივერსიტეტის (გაერთიანებული სამეფო) კვლევის მიხედვით, ინსტიტუციის ხარჯები უფრო დაბალია, ვიდრე სათემო-საოჯახო ტიპის მომსახურების ნებისმიერი მოდელი.

სხვა კვლევა კი აჩვენებს, რომ ინსტიტუციური მოვლა უფრო დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ვიდრე საოჯახო ტიპის მომსახურება და მხარდაჭერა.

დეინსტიტუციონალიზაცია უსახლკაროებს და კრიმინალს წაახლისებს?

როცა მთავრობები ხურავენ ინსტიტუციებს ადეკვატური საოჯახო ტიპის საცხოვრისების განვითარების გარეშე, ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითია გასახსენებელი, სადაც ინსტიტუციის

მცხოვრებლების უმეტესობას არ გააჩნია არც უნარები, არც საჭირო მხარდაჭერა, რომ შეიქმნან დამაკმაყოფილებელი და უსაფრთხო ცხოვრება საზოგადოებაში. ამის გამო საცხოვრისის, დასაქმების, სოციალური აქტივობების და ნაცნობ-მეგობრების გარეშე ინსტიტუციებიდან გამოსული ადამიანები შეიძლება საზოგადოებისგან გამოთიშულ ადამიანებად გადაიქცნენ.

ადეკვატური სათემო-საოჯახო ტიპის მომსახურებების განვითარება ყოველთვის ინსტიტუციების დახურვის პარალელურად უნდა განვითარდეს. არარეალურია და არც გამართლებული იმის მოლოდინი, რომ ადამიანები, რომლებმაც ცხოვრების დიდი ნაწილი იზოლირებულებმა გაატარეს ინსტიტუციებში, გამოვიდნენ პირდაპირ საზოგადოებაში და წარმატებულები გახდნენ საჭირო მხარდაჭერის გარეშე.

როგორ უჭერს მხარს ღია საზოგადოების ფონდები დეინსტიტუციონალიზაციას?

ბოლო ორი ათწლეულია, ღია საზოგადოების ფონდები მხარს უჭერენ სამოქალაქო საზოგადოების მიერ ინსტიტუციების დახურვის მოთხოვნას და თემსა და ოჯახზე დაფუძნებული მომსახურების განვითარებას ცენტრალურ, ალმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში.

უფრო დეტალურად:

მათ მხარი დაუჭირეს თემზე დაფუძნებული მომსახურების მიწოდების განვითარებას, როგორცაა ორგანიზაცია „ხელი ხელს“, საქართველოში. მან დააფუძნა კავკასიაში პირველი საოჯახო ტიპის საცხოვრებლის სერვისი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთათვის. მათ შორის გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ადამიანებისთვის;

უზრუნველყავით რეგიონში ცალკეული ქვეყნების დაფინანსება და ტექნიკური მხარდაჭერა, რათა დავებმარებოდით მათ თემზე დაფუძნებული მომსახურების (საოჯახო ტიპის საცხოვრებლის), როგორც ინსტიტუციების საუკეთესო ალტერნატივის განვითარებაში. მათ შორის, ხუთი წელიწადიან მშრომლობით ხორვატიის მთავრობასთან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორი უდიდესი ინსტიტუციიდან საოჯახო ტიპის საცხოვრებლებში გადმოსაყვანად;

მხარი დავუჭირეთ თვით-ადვოკატირების ჯგუფების განვითარებას შეზღუდული შესაძლებლობების პირთა გააქტიურების მიზნით, რათა მათ ეფექტურად შეეძლოთ საკუთარი უფლებების დაცვა. მათ შორის, შრომის უფლებების, საზოგადოებაში ცხოვრების, ხმის მიცემის და სხვა

და მხარი დავუჭირეთ ორგანიზაციებს, გაენიათ მონიტორინგი ევროკავშირის ფონდებისთვის, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ნევრი სახელ მნიფოები არ ხარჯავენ ევროკავშირის სახსრებს ინსტიტუციების განვითარების ან შენარჩუნების მიზნით.

წყარო: ღია საზოგადოების ინსტიტუტი
პოსტედ ბე დატო Nადირაღზე ატ 2:46 PM

ჯანმრთელობა

უმიჯნინი პოზიციები განწყობა, იმიჯი პოზიციონალ და იმიჯი ადვილად დაკლვით დაკრების!

მაია ასაკაშვილი.



დეპრესია, მისი ფორმები, სიმპტომები, გამომწვევი მიზეზები, დეპრესიის უარყოფითი გავლენა მოზარდებზე, დეპრესია და შშმ პირები, როგორ დავძლიოთ დეპრესია, მკურნალობის მეთოდები, რეკომენდაციები-ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ მოვიწვიეთ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ფსიქიატრი-ხათუნა ჭყოიძე.

ქალბატონო ხათუნა, როგორც ცნობილია, დეპრესია ლათინური სიტყვაა და დათრგუნულს ნიშნავს, ეს არის ადამიანის ფსიქიკური აშლილობა, რომელსაც ნეგატიური განწყობა, სევდა, დათრგუნვა გუნებისა და თვითშეფასების გაუარესება, ცხოვრების ინტერესის დაკარგვა ახასიათებს, დეპრესია განკურნებადი. მძიმე ხარისხის დეპრესიამ შესაძლოა, ადამიანი ისე დააუძღუროს, მუშაობა ვეღარ შეძლოს

და თვითმკვლელობამდე მიიყვანოს. დეპრესია ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური აშლილობაა, რომელიც ყოველ მეოთხე და მე-5 ადამიანს შეიძლება ჰქონდეს. ხშირია, როდესაც ადამიანები ამბობენ, რომ მათ დეპრესია აქვთ, როგორ შეიძლება დადგენა აქვს თუ არა ადამიანს დეპრესია, რა ძირითადი ნიშნებით ხდება მისი ამოცნობა?

დეპრესია, მართლაც, ყველაზე გავრცელებუ-



ლი ფსიქიკური აშლილობაა. არსებობს დეპრესიის 2 ტიპი: ენდოგენური და ეგზოგენური. ეგზოგენური დეპრესიით ადამიანი სხვადასხვა გარე ფაქტორის გავლენის შედეგად ავადდება, ეს გარე ფაქტორი შეიძლება იყოს, მაგალითად, უსიამოვნო მოვლენა, რომელიც ხანგრძლივად გრძელდება და მუდმივ დაძაბულობასა და გუნება-განწყობის დაქვეითებას იწვევს. რაც შეეხება ენდოგენურ დეპრესიას, მისი გამომწვევი მიზეზის პოვნა ვერ ხერხდება, მის განვითარებას უფრო ბიოლოგიური ფაქტორები განაპირობებენ.

ქალბატონო ხათუნა, როგორ ხდება დეპრესიის დიაგნოსტიკა?

დეპრესიის ნიშნები მრავალფეროვანია, ძირითადად 3 ნიშანი იკვეთება: 1. დაქვეითებული გუნება-განწყობა;

2. ასოციალური პროცესების შენელება, როცა ადამიანი აზრების სიმცირეს განიცდის. დეპრესიის დროს სიტყვების რაოდენობა მცირდება, ხშირად ლაპარაკის სურვილი ქრება, თავში აზრები აღარ მოდის.

3. ნიშანი არის მოტორული ფეროს-მოძრაობების შეფერხება. ამ დაავადების დროს ადამიანს სამსახურში, მეგობრებში, გასართობად წასვლის სურვილი უქრება, ურჩევნია, მთელი დღე ლოგინში იწვეს. დეპრესიის დროს ხშირია სიამოვნების განცდის უნარის დაკარგვა, მას არაფერი უხარია, დეპრესია ფსიქიკურ პრობლემებს შორის ყველაზე საშიში მდგომარეობაა, ყველაზე ხშირად დეპრესია სუიციდის მიზეზი ხდება.

რამდენ ხანს გრძელდება დეპრესია ?

შესაძლებელია, დეპრესია თვეების მანძილზე გაგრძელდეს. ხშირად დეპრესია ბიპოლარული აშლილობის მდგომარეობაში გვევლინება, როცა დეპრესიას პერიოდულად საპირისპირო განწყობები (მანიაკალური მდგომარეობა) ენაცვლება. ამ დროს ადამიანი მხიარულია, ასოციაციები მოჭარბებული აქვს, ბევრს ლაპარაკობს.

ქალბატონო ხათუნა, იწვევს თუ არა დეპრესია მომავალში სხვა დაავადებებს?

დეპრესია სხვა დაავადებებს არ იწვევს, მაგრამ, ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება გამოიწვიოს, არის სუიციდი. როდესაც დეპრესიას სუიციდური აზრები ახლავს, უმჯობესია, ადამიანმა სტაციონარში იმკურნალოს.

ქალბატონო ხათუნა, ყველაზე ხშირად რის გამო ვარდებიან ადამიანები დეპრესიაში?

მიზეზი სხვადასხვაა, ჯანრთელობის პრობლემის განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობს, როგორც ბიოლოგიური ფაქტორები, გენეტიკა, ისე ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები. მაგალითად, მარტოხელა დედა, რომელსაც აქვს სოციალური პრობლემები, რის გამოც შეიძლება შვილი მშვიერი დარჩეს, მუდმივად სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება, დიდი შანსია, მას გუნება-განწყობა დაუქვეითდეს. ფსიქოლოგიურ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ, როცა აღმოვაჩინოთ, რომ საყვარელ ადამიანს თურმე არ ვყვარებივართ, ვცდებოდით, ილუზიებით გვიცხოვრია და ცხოვრებამ აზრი დაკარგა.

მზარდია თუ არა საქართველოში ფსიქიკური აშლილობით დაავადებულთა რიცხვი? რით განსხვავდება დეპრესია უგუნებობისგან?

საქართველოში ფსიქიკური აშლილობით დაავადებულთა რიცხვი ყოველ წელს იზრდება, მაგრამ სტიგმისა და სხვადასხვა მიზეზის გამო ადამიანები არ მიმართავენ ფსიქიატრიულ სამსახურს, რაც ართულებს მდგომარეობას.

როგორ ამოვიცნოთ, რომ ადამიანს დეპრესია აქვს?

დეპრესია სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვანაირად ვლინდება. მას ეუფლება უმწეობისა და უიმედობის განცდა, რაც ძირითადი მახასიათებელია. ადამიანს ეჩვენება, რომ უკეთესობისკენ არაფერი შეიცვლება, ყოველდღიური საქმიანობისადმი ინტერესს კარგავს, ძველი გატაცებები და ხალხთან ურთიერთობა არ აინტერესებს, არაფერი აღარ ანიჭებს სიხარულს, დამახასიათებელია მადისა და წონის ცვლილებები, ძილის დარღვევები, უძილობა ან მეტისმეტი ძილი, აზროვნებისა და მეტყველების, მოძრაობის შენელება, დანაშაულისა და უვარგისობის განცდა, გაღიზიანებადობა და სიბრაზე, ამტანობა დაქვეითებულია, ამ დროს ადამიანი ყველა წვრილმანზე ფეთქდება, ენერგიას კარგავს, ქრონიკულად დაღლილია, ასეთ შემთხვევაში, ზოგიერთი ალკოჰოლს, ნარკოტიკს, აზარტულ თამაშებს, ექსტრემალურ სპორტს მიმართავს, კონცენტრაციის უნარი დაქვეითებულია, ფაქტების დამახსოვრების უნარი შესუსტებული. დეპრესიისთვის დამახასიათებელია ისეთი ჩივილები, როგორიც არის ზურგის ან მუცლის ტკივილი, ფიქრები სიკვდილსა და თვითმკვლელობაზე.

ქალბატონო ხათუნა, მაინც რა იწვევს დეპრესიას?

კონკრეტული მიზეზი არ გააჩნია აღმოცენებას, აქ რამდენიმე ფაქტორი მონაწილეობს, მისი გამომწვევი შეიძლება იყოს ჰორმონალური ცვლილებები, ცხოვრებისეული სტრესი, საყვარელი ადამიანის დაკარგვა, ფინანსური პრობლემები, პესი-

ბაზრქელეა ➔

მიზმი. დეპრესია უბრალო უგუნებობა არ არის, ის ქრონიკული, მორეციდივე დაავადებაა, საიდანაც გამოსავალი ექიმის დახმარებით უნდა ვეძებოთ.

რას გვეტყოდით დეპრესიის ფორმებზე:

დიდი დეპრესიის დროს სიმპტომები ყოველდღიურია, ინტენსიური, მძიმე, იგი იმდენად აშკარაა, რომ ამჩნევენ სამსახურში, სკოლაში, გარეშე ადამიანებთან ურთიერთობაში.

ტიპიური დეპრესია-იშვიათი არ არის ,იგი გავრცელებულია მოზარდებსა და ქალებს შორის, დეპრესიის ამ ფორმას ნაცვლად უმადობისა და უძილობისა, ახასიათებს მადის გაძლიერება, წონის მატება, გადაჭარბებული ძილიანობა,დამხასიათებელია სიმძიმის შეგრძნება ხელ-ფეხში, ასეთი პაციენტები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან კრიტიკის, წარუმატებლობისა და უარყოფის მიმართ, გარდა ამისა, მათი ცხოვრება სავსეა კონფლიქტებით, უჭირთ ურთიერთობის დიდხანს შენარჩუნება. ერთ-ერთი ფორმაა- დისტიმია (განმეორებადი, მსუბუქი დეპრესია) ეს დეპრესიის მსუბუქი ფორმაა, თუმცა ქრონიკული მდგომარეობაა. დისტიმია არღვევს ცხოვრების ნორმალურ რიტმს.

ქალბატონო ხათუნა, როგორ ამოვიცნოთ დეპრესია, რა არის მისი ძირითადი სიმპტომები?

1. გუნება-განწყობის დაქვეითება, სიხარულის განცდის უნარის დაკარგვა;
2. აზროვნების მოშლილობა-უარყოფითი აზრები, ირგვლივ მიმდინარე მოვლენათა მიმართ პესიმისტური დამოკიდებულება;
3. მოძრაობითი დამუხრუჭება.
4. დეპრესიისას ადამიანი კარგავს ცხოვრებისა და ჩვეული საქმიანობისადმი ინტერესს, უქვეითდება თვითშეფასების მაჩვენებელი.დღეს ეს მდგომარეობა 40-50 წლის მოსახლეობის 10% ტანჯავს.

რამდენი სახის არის დეპრესია და რა ინვეს მას?

მიზეზის მიხედვით, ყველაზე ხშირია რეაქტიული დეპრესია. იგი დრამატული განცდების შედეგად ვითარდება, ახლობლების,სამსახურის, საზოგადოებრივი მდგომარეობის დაკარგვისას. დეპრესია ენდოგენურია, თუ მისი მიზეზი არ არის საკმარისად ცხადი.


ეს ფორმა ორგანიზმში ჰორმონების მსგავსი ნივთიერებების-ნეიროტრანსმიტერების დონის მოშლას უკავშირდება: ისეთების, როგორიცაა სეროტონინი (ახდენს უშუალო გავლენას ცნობიერებასა და გუნება-განწყობაზე) ნორადრენალინი და დოფამინი. ზოგჯერ ვითარდება მეტაბოლური დეპრესია, რაც ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, წყალმარილოვან დარღვევას უკავშირდება. სტრესულია - სტრესის შემდგომი დეპრესია, რომლის მიზეზიც სტრესის შედეგად ტვინის გადაჭარბებული დატვირთვაა.

ცალკე გამოყოფენ ზამთრის, მშობიარობის შემდგომ და ფარულად მიმდინარე დეპრესიებს. ზამთრის დეპრესია შემოდგომის დამლევს იჩენს თავს და გარემოში მზის სინათლის დეფიციტს უკავშირდება, სინათლის უკმარისობა აქვეითებს სე-

როტონინის სინთეზს და განწყობასაც. მშობიარობის შემდგომი დეპრესია ორგანიზმი მიმდინარე რთული ჰორმონალური ძვრებითაა განპირობებული. იგი დედის მიერ მშობიარობისას გადატანილ ძლიერ ტკივილს, ახალშობილის მომავლის გამოწუხილსა და მისი დაკარგვის შიშს უკავშირდება.

დეპრესიის სიმპტომები სხვადასხვა სახის ფიზიკური სისუფით არის შენიღებული. ცნობილია მონოპოლარული და ბიპოლარული ტიპის აშლილობანი. მეორეს საზოგადოება მანიაკურ-დეპრესიული სინდრომის სახელით იცნობს. მონოპოლარული აშლილობისას ქვეითდება გუნება-განწყობა და ადამიანი გარკვეული ხარისხის საქმიანობასა და ცხოვრებისეულ აქტივაციაზე ამბობს უარს. ბიპოლარულის დროს კი- გუნება-განწყობის დაქვეითების პარალელურად, ეიფორია შეინიშნება. მანიაკური სინდრომის გამწვავებისას, ადამიანი ფსიქომოტორულად აგზნებულია, იპყრობს ძლიერების, ყოვლისშემძლეობის შეგრძნება, რეაქციათა სწრაფ სიჩქარეს ავლენს.

ამ მდგომარეობისთვის დამახასიათებელია ქრონიკული მიმდინარეობა, გაზაფხულზე მათი რეციდივი იწყება, უპირველეს ყოვლისა, უძილობით და ძილის ჩვეული რეჟიმის მოშლით, ქვეითდება სექსუალური აქტივობა, ადამიანს აქვს ფორიაქის შეგრძნება, საერთო სისუსტე, კარგავს მადას, ჩნდება ფსევდოსიმპტომები. შინაგანი ორგანოების მხრივაც, ერთნი გულის ტკივილსა და სიკვდილის



შიშს უჩივიან, მეორენი-კუჭ-ნაწლავის აშლილობას და სხვა. ამიტომ ურჩევენ სპეციალისტები შიზოფრენიით დაავადებულებს გაზაფხულზე, პროფილაქტიკის მიზნით, სტაციონარში დანოლას.

დეპრესია შეიძლება განვითარდეს სულიერი, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრავმის შედეგად, იგი მოსდევს მუდმივ სტრესს, დაძაბულობას, თუმცა არსებობს შემთხვევები,როცა მკაფიოდ გამოხატული მიზეზი არ არსებობს.

დეპრესიის გამოვლინებაა უგუნებობა, ხასიათის რადიკალური ცვლილება, გულგრილობა, შფოთვა, ნალველი. დეპრესიაში მყოფი ადამიანი ცხოვრებას შავ-თეთრ ფერებში აღიქვამს, სრულ აპათიაშია, ახასიათებს უძილობა ან ძილიანობა, კარგავს ენერგიას, აქვს მუდმივად დაღლილობის შეგრძნება, აწუხებს აკვიატებული აზრები, ვერ ახერხებს თავისი

აზრების კონტროლს, ყურადღების მობილიზებას, ნანახის აღქმასა და წაკითხულის გააზრებას.

ამ დროს ადამიანი თავის თავში ეძებს გამოსავალს, ვერ პოულობს, აქვს არასრულფასოვნების, დანაშაულის განცდა, კარგავს ადეკვატური თვითშეფასების უნარს, ახდენს საკუთარი თავის საზოგადოებისგან თვითიზოლაციას.

ხანგრძლივი დეპრესია ადამიანს გარეგნულადაც აზარალებს, აღენიშნებათ კანკალი, ფერმკრთალობა და სხვა.

დეპრესია ეს არის დაავადება, რომელსაც ასაკი არ აქვს, იგი შეიძლება დაემართოს დიდსაც და პატარასაც.

ქალბატონო ხათუნა, რას გვეტყვით სეზონურ დეპრესიაზე, რით განსხვავდება შემოდგომა-ზამთრის დეპრესია გაზაფხულ-ზაფხულის დეპრესიისგან?

შემოდგომა-ზამთრის დეპრესიის სიმპტომები გაზაფხულ-ზაფხულის დეპრესიის სიმპტომებისგან განსხვავებულია, თუ პირველ შემთხვევაში შესამჩნევია უიმედობა, ენერჯის გამოლევა, ძილიანობა, მომატებული მადა და სხვა, მეორე შემთხვევაში წამყვანია გალიზიანებადობა, შფოთვა, უძილობა, უმადობა, წონის კლება, განწყობა ამინდთან ერთად იცვლება.

ქალბატონო ხათუნა, ხშირია შემთხვევები, როცა დეპრესია ბიპოლარული აშლილობის შემადგენლობაში გვევლინება, როგორია თქვენი მოსაზრება?

ბიპოლარულ აშლილობას სხვაგვარად მანიაკალურ-დეპრესიულ აშლილობასაც უწოდებენ, დაავადებისთვის დამახასიათებელია დეპრესიისა და მანიის ეპიზოდების მონაცვლეობა. თუ დეპრესიის დროს ადამიანი დათრგუნულია, უიმედო, კარგავს სიხარულის განცდის უნარს და ცხოვრებისადმი ინტერესს, მანიაკური ეპიზოდის დროს თავს იჩენს ეიფორია, ენერჯის მოზღვავება, გადაჭარბებული ოპტიმიზმი, აჟიტირებული და აგრესიული მოქმედება. ამ დროს ადამიანის აზროვნების უნარი არასრულფასოვანია, კონცენტრაცია დაქვეითებული. დეპრესიისა და მანიაკური ეპიზოდის მონაცვლეობა შეიძლება იყოს როგორც იშვიათი, ასევე ხშირი, დამახასიათებელია სეზონური მონაცვლეობაც.

რას გვეტყვით შიზოფრენიაზე, ნევროზზე, ფსიქოზსა და სხვა დაავადებებზე?

გაზაფხულზე მრავალ ქრონიკულ დაავადებასთან ერთად, მწვავედ და დეპრესიული და ნევროზული გამოვლინებები, ყველაზე მეტად დეპრესია.

ქალბატონო ხათუნა, როგორ ხდება დეპრესიის განკურნება, ზოგიერთი ადამიანი არ მიმართავს სპეციალისტს და თვითმკურნალობას ეწევა, საზიანოა თუ არა ეს ჯანმრთელობისთვის?

დეპრესიის სამკურნალოდ ფარმაკოთერაპია გამოიყენება. მკურნალობა ძირითადად ანტიდეპრესანტებით მიმდინარეობს, იგი ტრანკვილიზატორებისგან განსხვავებით არ იწვევს მიჩვევას, რაც შეეხება თვითმკურნალობას, რა თქმა უნდა, საზიანოა, ანტიდეპრესანტის დანიშვნა უნდა ხდებოდეს სპეციალისტის მიერ. როცა ადამიანს



დეპრესია აქვს, ნერვულ უჯრედებს შორის არსებული ნეირომედიატორები საჭირო რაოდენობით გამოიყოფა. თუ საკმარისია ეს ნივთიერება, მაშინ საჭირო რაოდენობის იმპულსაციას იწვევს. დეპრესიის დროს არასაკმარისი რაოდენობით ხდება იმპულსაცია. ნეირომედიატორების ცვლა და ნერვულ ქსოვილში იმპულსის გადაცემა ირღვევა, ამ დროს სააზროვნო პროცესების შემცირება და განწყობის დაქვეითება მიმდინარეობს.

ქალბატონო ხათუნა, მამაკაცები ქალბატონისგან განსხვავებით ძლიერები არიან, მაგრამ ზოგჯერ მათაც იპყრობთ იმედგაცრუება, ხსნას სასმელში ეძებენ, კარგავენ ცხოვრების ინტერესს, სუიციდის შემთხვევები უფრო ხშირია, ვიდრე ქალებში. დეპრესია ნებისმიერი ასაკის მამაკაცს შეიძლება დაემართოს, როგორ უნდა გაუმკლავდნენ მამაკაცები დეპრესიას?

მიგვაჩნია, რომ მამაკაცი ძლიერია და იოლად მართავს თავის ემოციებს, მას შეუძლია არაფრად ჩააგდოს იმედგაცრუება და უბრალოდ ათვრეს. სინამდვილეში დეპრესია საკმაოდ გავრცელებულია, ის გავლენას ახდენს შრომასა და სწავლის უნარზე, დეპრესიის გამო მამაკაცები 4-ჯერ უფრო იკლავენ თავს. დეპრესია მამაკაცებში ნამდვილად არ არის სამარცხვინო მდგომარეობა, ის სისუსტის ნიშანი კი არ არის, არამედ დაავადებაა, რომელიც მკურნალობას ექვემდებარება. როდესაც უიმედობისა და იმედგაცრუების განცდა ინტენსიურია და თავს ვერ ვაღწევთ, ეს უკვე დეპრესიაა.

სამწუხაროდ, მამაკაცების დეპრესია ხშირად შეუმჩნეველი ხდება, ვინაიდან, ძლიერ სქესს უჭირს საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკი, ისინი ამჯობინებენ, ისაუბრონ ფიზიკურ სიმპტომებზე, რომელიც თან ახლავს დეპრესიას: ზურგის ტკივილზე, ძილის დარღვევაზე, სქესობრივ პრობლემებზე, შედეგად კი აღმოჩნდება რომ ძირითადი პრობლემა მიჩქმალულია და დეპრესიის საწინააღმდეგო მკურნალობა არ ინიშნება, ყოველივე ამას შესაძლოა, მძიმე შედეგი მოჰყვეს. მდგომარეობიდან გამოსვლის ძიებისას, პაციენტმა თვითმკვლელობაზე დაიწყოს ფიქრი. ამიტომ, თუ ადამიანი ეჭვობს, რომ დეპრესია აქვს, ფიზიკურ სიმპტომებზე არ უნდა დაიწყოს ლაპარაკი, არამედ იმ განცდებზე უნდა უამბოს ექ-

იმს, რომელიც მოსვენებას არ აძლევს.

მამაკაცი შეიძლება სხვაგვარად განიცდიდეს დეპრესიას, ვიდრე ქალი. მამაკაცთა დეპრესიისთვის დამახასიათებელია 3 ნიშან-თვისება: ფიზიკური დისკომფორტი: ზურგის ტკივილი, თავის ტკივილი, ძილის დარღვევა, სქესობრივი დისფუნქცია, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სიმპტომები.

ზოგიერთი მამაკაცი ექსტრემალურ სპორტს, აზარტულ თამაშებს, სასმელს, ნარკოტიკებს მიმართავს, ანგარიშმიუცემლად მართავს მანქანას. დეპრესიას თუ დამოუკიდებლად ვერ უმკლავდებით, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოდ ექიმს.

ქალბატონო ხათუნა, დეპრესია თინეიჯერების ცხოვრების ყველა სფეროზე ახდენს გავლენას, ამ ასაკში დეპრესია რისკის შემცველია, მას მოჰყვება პრობლემები, თინეიჯერებმა შეიძლება მიმართონ ნარკოტიკს, კრიმინალურ დანაშაულს, ხშირია სუიციდის შემთხვევები, როგორია თქვენი მოსაზრება ამ საკთხზე?

გეთანხმებით, დეპრესია, განსაკუთრებით, სერიოზული დაავადებაა თინეიჯერებისთვის. მოზარდის დეპრესიას მხოლოდ ოჯახსა და სკოლაში როდი მოჰყვება პრობლემები, მათ შეიძლება მიმართონ ნარკოტიკებს და ჩაიდინონ დანაშაული, ზოგჯერ ყალიბდება ისეთი გაუკუღმართებული მდგომარეობა, როგორც არის საკუთარი თავის სიძულვილი, ამ დროს შესაძლოა, მიმართოს სუიციდს.

ზრდასრული ადამიანებისგან განსხვავებით, მოზარდთა დეპრესიის სიმპტომებია: გაღიზიანება და ბრაზი, ამ ასაკს სევდიანობაზე მეტად გაღიზიანება ახასიათებს, დეპრესიით შეპყრობილი თინეიჯერები ხშირად ბუზღუნებენ, მტრულ დამოკიდებულებას ავლენენ ამა თუ იმ პიროვნების მიმართ, ადვილად ეცვლება განწყობილება, კარგავენ წონასწორობას, უჩივიან თავის ტკივილს, მუცლის ტკივილს და სხვა.

გადაჭარბებული მგრძობიარობა კრიტიკოსადმი, დეპრესიული თინეიჯერები ხშირად იტანჯებიან უვარგისობის განცდით და ამიტომ განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამენ კრიტიკას. დამახასიათებელია ადამიანებთან არჩევითად განდგომა, სოციალური აქტივობის შესუსტება. ისინი შესაძლოა, გახდნენ გულჩათხრობილნი მშობლებთან, ზოგჯერ შორდებიან ძველ მეგობრებს. თინეიჯერების დეპრესიის შედეგი მელანქოლია არ არის, მან შესაძლოა, არაჯანსაღი და ასოციალური შეხედულებები და ქცევები გამოიწვიოს. დეპრესიის დროს დაქვეითებულია ენერჯიაც და კონცენტრაციის უნარიც. მოზარდმა, რომელიც მანამდე კარგად სწავლობდა, შესაძლოა, გააცდინოს გაკვეთილები და უარი თქვას სწავლაზე. ზოგჯერ დეპრესიული ახალგაზრდა სახლიდან გაქცევას ცდილობს, რაც მეტად სახიფათო მდგომარეობაა. ზოგიერთი გულს ნარკოტიკებს აყოლებს, ანორექსია და ბულემიაც დეპრესიის მაუნყებელია, მძაფრდება პიროვნების მარტოსულობა და იზოლაცია. დეპრესიის ყველაზე არასასურველი შედეგია თვითდაზიანების, თვითდამახინჯების მცდელობა.

სუიციდი თუ მისი მცდელობა ყველაზე გავ-

რცელებულია თინეიჯერებს შორის: ჩამოვთვლი იმ ფრაზებს რაც ყურადღებამისაქცევია: „ჯობს მოვკვდე“, „რომ შეიძლებოდეს, სამუდამოდ გავქრებოდი“, „გამოსავალი არ არსებობს.“ სიკვდილზე საუბარი პოზიტიური კუთხით, შესაძლოა, რომანტიკულადაც: „რომ მოვკვდებოდე, ხალხი უფრო მეტად შემეყვარებდა და დამაფასებდა,“ სიკვდილსა და თვითმკვლელობაზე მოთხრობებისა და ლექსების წერა, მაღალი რისკის აქტივობის, უბედური შეთხვევების ძიება, საკუთარი პიროვნების კეთილდღეობის უგულვებლყოფა, მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან გამოთხოვება, იარაღის, სხვა საშუალო ნივთების მოძიება, რომელთა გამოყენება შესაძლებელია თვითმკვლელობისთვის.

ასეთი სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში, უნდა მივმართოდ თინეიჯერების მშობლებს, ახლობლებს, მასწავლებლებს, მოზარდს, თქვენ შეგიძლიათ ბევრი რამ შეცვალოთ სასიკეთოდ.

თუ ეჭვობთ, რომ მოზარდს დეპრესია აქვს, უყურადღებოდ ნუ დატოვებთ, ნუ გეგონებათ, რომ დროებითი მოვლენაა და თავისთავად გაივლის, პირველ რიგში სცადეთ, გაესაუბროთ მოზარდს, ნუ განსჯით მას უსაქციელობისა და უცნაურობის გამო. იყავით თანაგრძნობით აღსავსე მსმენელი და



არა ჭკუის დამრიგებელი. მიმართეთ ექიმს დაუყოვნებლივ მის დასახმარებლად.

ქალბატონო ხათუნა, რა მეთოდებით მკურნალობენ დეპრესიას?

დეპრესიის მკურნალობა სხვადასხვა მეთოდით არის შესაძლებელი, ძირითადი მიმართულებებია: მედიკამენტური თერაპია და ფსიქოთერაპია. ორივე მეთოდი ეფექტურია, საუკეთესო შედეგს იძლევა კომბინირებული მკურნალობა. რეკომენდებულია ანტიდეპრესანტების მიღება მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით, რომელიც არ იწვევს შეჩვევას.

ფსიქოთერაპია დეპრესიის მკურნალობის არამედიკამენტური ალტერნატივაა, რომელიც მიზნად ისახავს პაციენტის პრობლემის განხილვითა და საუბრით მიაღწიოს შედეგს. ასეთი საუბრები პაციენტს ეხმარება, უკეთ გაარკვიოს თავისი დეპრესიული მდგომარეობის მიზეზი, რომ უფრო ადვილად იპოვოს მდგომარეობიდან გასმოვლის გამოსავალი, გაუმკლავდეს უარყოფით ემოციებს.



ფსიქოთერაპიას სხვადასხვა მეთოდი აქვს, კოგნიტიურ - ქცევითი თერაპია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რომელიც საშუალებას აძლევს პაციენტს, საკუთარ თავში აღმოაჩინოს ის მცდარი შეხედულებები, რომელსაც დეპრესიულ განწყობილებამდე მიჰყავს.

რა წინაპირობები აქვს დეპრესიას?

